

645
1984/12

ISSN 0321-1509

# საქართველოს ქალი

12
1984

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რესპუბლიკის დროშაზე მესამე ლენინის ორდენი კიაფობს



სურათზე: თბილისი, 1984 წლის 17 ნოემბერი. საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სამშობლოს საპატიო ჯილდოს — ლენინის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში; საქართველოს სს რესპუბლიკისათვის ლენინის ორდენის გადაცემის დროს.

ვ. ვახტანგაძის ფოტო

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყურადღება, ექსპერიმენტია!

# დმანისის რაიონი დღეს

მოგეხსენებათ, რა მდიდარი და ბარაქიანია აქაური მიწა. თუ კარგად მოუვლი და ცდას არ დააკლებ, შრომას ერთიათად დაგიფასებს. მაგრამ წლები გადიოდა, ხვავი და ბარაქა არ გროვდებოდა დმანისელთათვის. მეკარტოფილეები, მეცხოველეები მესიმინდეები თანდათან თმობდნენ უწინდელ პოზიცებს და, პროდუქციის წარმოების კი არა, სახელმწიფოსთვის მიყიდვის დავალებებსაც ვერ ასრულებდნენ. 1980 წლის ბოლოსათვის რაიონის ათი საბჭოთა მეურნეობიდან მხოლოდ სამი მეურნეობა იყო მომგებიანი, დანარჩენი შვიდი მეურნეობისგან კი 2,8 მილიონი მანეთი ზარალი მიიღეს. დაბალი იყო მუშის შრომის საშუალოწლიური ანაზღაურება, რის გამოც გახშირდა რაიონიდან სეზონურ სამუშაოებზე გასვლა.

რაიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის აუცილებელი გახდა ეფექტიანი რადიკალური ღონისძიებების განხორციელება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის უხვი წარმოებისათვის უპირველესად უნდა გაზრდილიყო მუშათა მატერიალური სტიმული და შრომის საბოლოო შედეგებისათვის მათი პასუხისმგებლობა. დაინერგა კოლექტიური იჯარა, ანუ შრომის ანაზღაურების აკორდულ-პრემიული სისტემა. წლის განმავლობაში კი შრომის ანაზღაურება ავანსის გაცემის ან კოლექტიური სანარდოს მიხედვით ხორციელდება.

1982 წლის დასაწყისიდან რაიონის 9 საბჭოთა მეურნეობაში თავდაპირველად 10 უგანრიგო რგოლი შეიქმნა. ექსპერიმენტის წესით მას 189 ჰექტარი კარტოფილის ნათესი გამოეყო, საიდანაც 3170 ტონა კარტოფილი მიიღეს ნაცვლად გათვალისწინებული 1978 ტონისა. საშუალო მოსავლიანობამ 60 პროცენტით გადააჭარბა გეგმურს და 40 პროცენტით — საერთო სამეურნეო მაჩვენებელს. რგოლის თითოეულმა წევრმა 31,3 ტონა კარტოფილი მოიყვანა, ეს მაშინ, როცა წინათ, ჩვეულებრივ პირობებში, 3,5 ტონაზე მეტი არ მოჰყავდათ. შრომის ნაყოფიერება თითქმის 9-ჯერ გაიზარდა. ზეგეგმური პროდუქციიდან რგოლის თითოეულმა წევრმა პრემიის სახით სამი ტონა კარტოფილი მიიღო. ერთი ცენტნერი პროდუქციის თვითღირებულება რგოლში 6,5 მანეთი გახდა. მეურნეობაში კი წინათ ეს ციფრი 21 მანეთს აღემატებოდა. იჯარულმა ქვედანაყოფებმა 26,8 ათასი მანეთის ზეგეგმური პროდუქცია აწარმოეს. თითოეული ჰექტრიდან საშუალოდ 797 მანეთი მოგება მიიღეს. წინათ კი რაიონის საშუალო მაჩვენებელი 300 მანეთს უდრიდა.

კოლექტიური იჯარის უპირატესობანი ცხადი გახდა. ეს პროგრესული მეთოდი ადამიანებს აძლევს ინიციატივისა და შემოქმედებითი ძიების სარბიელს, ხელს უწყობს უკეთ გამოიყენონ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეჯიბრებაში უფრო უკეთეს მაჩვენებლებს მიაღწიონ. საქმე, უწინარეს ყოვლისა, იმ მეურნეობებში მიდის კარგად, სადაც მიწათმოქმედთა და მეცხოველეთა შრომას საბოლოო შედეგებით აფასებენ. საიჯარო ბრიგადები, მეტ პროდუქციას იძლევიან ნაკლები დანახარჯებით, ზრუნავენ ხარისხისათვის.

მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ ვაკის საბჭოთა მეურნეობის დილიარის განყოფილების მემინდვრეობის უგანრიგო რგოლი, რომლის ხელმძღვანელია პარტიის დმანისის რაიკომის წევრი, ახალგაზრდა მექანიზატორი ჯალალ მუსაევი, რომელიც რაიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კოლექტიური იჯარის დანერგვის პიონერია. მისმა რგოლმა 1982 წელს 18,5 ჰექტარ კარტოფილის ფართობზე 407 ტონა მოსავალი მოიყვანა, ანუ ჰექტარზე 220 ცენტნერი და 9 მანეთითა და 40 კაპიკით შეამცირა ერთი ცენტნერი პროდუქციის წარმოება. რგოლის ერთ წევრზე გაანგარიშებით 5,4 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია მოდის, რაც 10-ჯერ აღემატება იმ მუშათა მაჩვენებელს, რომლებიც უგანრიგო რგოლში არ მუშაობენ.

მუსაევის უგანრიგო რგოლმა 1983 წელს კარტოფილის დამუშავებისათვის ნაკვეთები დილიარის განყოფილებაში მიიჩინა, სადაც 1978-80-81 წლებში საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა 80-90 ცენტნერს არ აღემატებოდა. 1983 წელს ამ განყოფილებაში საშუალოდ ჰექტარზე 146 ცენტნერი კარტოფილი მოიყვანეს, თითოეული მუშის საშუალო წლიურმა ხელფასმა 728 მანეთს მიაღწია, ნატურალური ანაზღაურებით კი 2400 კილოგრამი კარტოფილი, 564 კილოგრამი ჭარხალი მიიღო. ეს მაშინ, როცა წინა წლებში თითოეულ მუშას მხოლოდ 302 ან 318 მანეთი ჰქონდა მთელ წელიწადში გამომუშავებული. ერთი ცენტნერი კარტოფილის წარმოებრივმა თვითღირებულებამ 19 მანეთი და 60 კაპიკი შეადგინა, ანუ გეგმურზე 2 მანეთით და 85 კაპიკით ნაკლები. ამან კი საბჭოთა მეურნეობას 10 576 მანეთის ეკონომია მისცა. რგოლის ერთ წევრზე გადაყვანით წარმოებულია 5597 მანეთის საერთო პროდუქცია.

ჯ. მუსაევის უგანრიგო რგოლმა სამეურნეო საქმიანობის სტარტი წლეულს მესამედ აიღო. მისმა რგოლის წევრებმა კარგად იციან, რომ თუ მიწას გულს გაუხსნი და კარგად მოუვლი, არასოდეს გიღალატებს. რგოლში კარგ ტრადიციად იქცა ყველა საკითხის ერთობლივად გადაწყვეტა.



17726

საქ. სსრ კ. მარქსის
ს.ს. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა



განთიადის საბჭოთა მეურნეობის მემინდვრეები

თენგიზ ფურცხვანიძის ფოტოები



ბაშკირეთის საბჭოთა მეურნეობის უგანრიგო რგოლის ხელმძღვანელი ხალთ ანგულოვა

კოლექტიური იჯარა ასრულებს როგორც მასების ორგანიზატორის, ისე აღმზრდელის როლს და მშრომელებს მხოლოდ ერთი მიზნისათვის აერთიანებს. რგოლში დიდმა მომთხოვნელობამ მექანიზატორი ა. ამიროვი აიძულა კოლექტივიდან წასულიყო. უგანრიგო რგოლი მარტო სამეურნეო შედეგებით როდი შემოიფარგლება. მისი ახალგაზრდა წევრები ეკონომიკური სწავლების სკოლაში გაერთიანდნენ. მათ საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტისა და დირექციის წინაშე დასვეს საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების საკითხი.

კოლექტიური იჯარა ვერ ურიგდება შაბლონს. ეს ჩანს განთიადის საბჭოთა მეურნეობის გამოცდილებიდან, სადაც გ. ოკმელაშვილის უგანრიგო რგოლის წევრებმა 22 ჰექტარ საკარტოფილე ნაკვეთიდან ჰექტარზე გეგმით გათვალისწინებული 122 ცენტნერის ნაცვლად 199,8 ცენტნერი მოსავალი მოიწიეს და კარტოფილის წარმოების გეგმა 163,7 პროცენტით გაანაღდეს. ამდენივე ფართობიდან კარტოფილის წარმოების გეგმა ვ. ციხელაშვილის რგოლმა 162,4 პროცენტით შეასრულა, ნ. დაუთაშვილის რგოლმა კი — 154 პროცენტით.

კოლექტიური იჯარა ურთიერთხელსაყრელობის პრინციპებს ემყარება, ამიტომაც ის სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც გავრცელდა. დღესათვის დმანისის რაიონის სოფლის მეურნეობაში კოლექტიური იჯარის პრინციპით 265 ქვედანაყოფი მუშაობს, მათ შორის 89 — მემინდვრეობაში და 102 — მეცხოველეობაში. ამ ქვედანაყოფებში 2061 მუშაა გაერთიანებული.

ამას წინათ სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რაიონულმა კომისიამ შეაჯამა სამეურნეო ანგარიშის პირობებში მოქმედი უგანრიგო რგოლების მუშაობის 1983 წლის შედეგები. გამარჯვებულ კოლექტივებს გადაეცათ რაიონის საწარმოდაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ დაწესებული პრიზები და ფასიანი საჩუქრები. რაიონულმა კომისიამ გამოავლინა აგრეთვე ის რგოლები, რომლებმაც მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგში ისახელეს თავი საუკეთესო საწარმოო მაჩვენებლებით, და რომელთაც გამოეყო „ჟიგულის" მარკის ავტომანქანები. რძის წარმოებაში რაიონში პირველობა არავის დაუთმო ბაშკირეთის საბჭოთა მეურნეობის ხ. ანგულოვას რგოლმა, რომელმაც 90 ძროხიდან თითოეულზე 3032 კილოგრამი რძე მიიღო. ეს კი გეგმურზე 166 კილოგრამით მეტია.


**თენგიზ ქავთარაძე,**
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის და სამართლის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საამქროში მხოლოდ ქალები არიან

რვის ნახევარზე ფართოდ იღება საამქროს კარი. როგორც ყოველთვის, პირველად საამქროს უფროსი ჟუჟუნა თევდორაშვილი მოდის. ეტყობა, საოჯახო საქმეები დილაბნელზე მოუწესრიგებია და ახლა ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სინთეზურ ნაკეთობათა ფაბრიკის შემკერავი საამქროს მუშებს ელოდება.

ჟუჟუნა თევდორაშვილი ოცი წელი ბრიგადირად მუშაობდა. კარგი მიღწევებისათვის „შრომის დიდების“ ორდენით დააჯილდოვეს. 16 წელია პარტიის წევრია, ორი სასახელო შვილი გაზარდა. მისი თაოსნობით მე-6 ბრიგადამ გასული ხუთწლედი სამ წელსა და ცხრა თვეში შეასრულა. ახლა საამქროს უფროსად დააწინაურეს.

ცხრის ნახევარზე უკვე ყველა თავის ადგილზეა. საამქროს ოსტატი როზა სახვაძე სამუშაოს ანაწილებს. კმაყოფილია. გუშინ თითქმის ყველას გადაუჭარბებია გეგმა, ბევრს მთელი დღის განმავლობაში 85 ქურთუკის ნაცვლად 90 და მეტიც კი შეუკერავს. მუყაითობენ ქალები.

ხმაშეწყობით ხმაურობენ საკერავი მანქანები. შავსა და ლურჯ ქურთუკებს ზოგი სახელოს აკერებს, ზოგი ქამარს...



მკერავთა ბრიგადა



საამქროს უფროსი ჟუჟუნა თევდორაშვილი

ფაბრიკის დირექტორის თამაზ მიქელაძის საუბრიდან:

თბილისის სინთეზურ ნაკეთობათა ფაბრიკა ყოველწლიურად სამი სახის პროდუქციას უშვებს: — სამკერვალო ნაწარმს, საფეიქრო გალანტერეასა და აბრეშუმის ქსოვილებს, რომლისგანაც ქურთუკები მზადდება. დაიწყო ნარჩენების ათვისებაც. ნარჩენებისაგან დამზადებული ქალის ხელჩანთები ყველას მოეწონა გამოფენაზე.

ჩვენი ნაწარმი რუსეთისა და ბალტიისპირეთის ბევრ ქალაქში იგზავნება. რეკლამაცია სულ არ არის მეთქი, რომ გითხრათ, ტყუილი იქნება, მაგრამ ვცდილობთ ყოველწლიურად შევამციროთ ის.

ფაბრიკაში ახლა ხელახალი ტექნიკური სიახლეებია. იცვლება დანადგარები, ვდგამთ ახალ, თანამედროვე დაზგებს, წარმოება უნარჩენოდ მუშაობს, გეგმები ყოველთვის სრულდება.

ახალგაზრდობის მიგრაციის პრობლემა ნაკლებად გვაწუხებს, სამაგიეროდ, მომარაგების საქმე არ გვაქვს კარგად. ამიტომაც ფერხდება ზოგი სამუშაო.

მოწინავეც ბევრი გვყავს, ჩვენი ქალების უმრავლესობა გამრჯეა და მუყაითი, ამიტომ სახელი და ქება არ აკლიათ. განსაკუთრებით გამოირჩევა შემკერავი საამქროს ორი ბრიგადა — მეხუთე და მეექვსე.

სახელოვნად შრომობენ მეხუთე ბრიგადის წევრები: რ. მხითარიანი, ე. ამალბაშიანი, მ. ანდრიასოვა, მ. გოშაძე, ე. ალადაშვილი, მ. კოზირენკოვა (ბრიგადირი), ც. ბასოშვილი, ნ. ვართანოვა, ი. ჯაოშვილი, რ. დარბინიანი.

მეექვსე ბრიგადის ბრიგადირი ეთერ პასიკაშვილი მ. ჭოხონელიძის, ა. ამირხანიანის, მ. ოდიკაძის, ა. სარქისიანის, ფ. ხატიაშვილის, ლ. ოგანეზოვას, მ. ავსაჯანიშვილის, უ. მაზმანოვას, ლ. ერაძის, რ. პირუმოვას და ე. კოსტანიანის მადლიერია.

ბრიგადებში მხოლოდ ქალები არიან. მათზე უთქვამთ: „მზე დაიღლება, ყოჩაღი ქალი კი არაო!“

ირინე კუკავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რკინიგზელები



მარცხნიდან — ზეინკლები: ნ. გელაძე, ნ. ოკროშიძე, ა. სტეპანენკო და ნ. სნაპოკი

ვ. ბენბიურის ფოტო.

დამხარისხებელი სადგურის ტერიტორიაზე ოცდათოთხმეტი წყვილი ლიანდაგი გაწოლილა. სადგურს სამ კილომეტრზე მეტი ფართობი უჭირავს. აქ, ნავთლუღ მეორეში თბილისის დეპოს ოთხი ფილიალია განლაგებული: სალიანდაგო, თვით დამხარისხებელი სადგური, სალოკომოტივო და ვაგონების ტექნიკური გასინჯვის პუნქტი.

ოთხივე ფილიალში ერთსა და იმავე საქმეს ემსახურებიან, ერთსა და იმავე გეგმის შესრულებისათვის იბრძვიან. თუ მელიანდაგეები ლიანდაგს წესრიგში არ მოიყვანენ, ცხადია, მატარებლები ვერც შემოვლენ და ვერც გავლენ. თუ დამხარისხებლები მატარებლებს არ დაშლიან და არ შეადგენენ, გასინჯვის პუნქტის მუშებს გასასინჯი და გასაშვები არაფერი ექნებათ.

ან სალოკომოტივო თუ ელმავალს არ მისცემს, როგორ უნდა გაგზავნონ ვაგონები?!

აქ მომუშავე ქალების საქმიანობა ნამდვილი გმირობაა. ერთი დედის შვილებივით შეხმატკბილებულან გამსინჯველი ანტონინა ლეონოვა, ზეინკლები ანა სტეპანენკო, ლარისა ტიხომიროვა, ოლია ხახლინა, ნინა სნაპოკი, ზეინკალ-ინსტრუმენტალისტები ნუნუ ოკროშიძე, ელენე გორლიუკოვა, ოპერატორები თამარ ჯეგედარი, ლამარა მერაბიშვილი, ჟანა ვართანოვი, ანა ფილიპენკო, ვერა ალტუხოვა და სხვა, სამუშაოთა შემსრულებლები ევგენია ჯიოევა, ლიდია პეტროვა და ჟუჟუნა ფხაკაძე.

ზაფხულში სიცხე აწუხებთ მზის ქვეშ მომუშავეთ. გაცხელებულ ლიანდაგებზე და ვაგონების ტყეში ჰაერს ლაპლაპი გაუდის, სუნთქვა ჭირს და სამოსი ოფლითა და მაზუთით იჟღენთება. ზამთარში, თოვლსა და ქარში, გაყინულ რკინაზე თითები ეწებებათ. მაზუთს ჩაყოლილი წყალი იყინება და შემდეგ ძალაყინებით ამტვრევენ, ამოასუფთავებენ და ახალ მაზუთს ამატებენ. გამსინჯველმა კარგად უნდა შეამოწმოს, რომ შიგ „პოსტერი“ ან „პადვიჰკები“ არ აკლდეს თორემ მოძრაობაში ღერძი გადახურდება და ჩატყდება, რაც გარდუვალი ავარიის მომასწავებელია. „ავადმყოფი“ ვაგონი, ხაზზე არ უნდა გაეპაროთ. მატარებლის მკვეთრი დამუხრუჭების დროს ხანდახან თუჯის მუხრუჭი დნება და ცხელი მასა ვაგონის თვალს გადაესხმება, გაციებისას კი პატარ-პატარა კონუსებს წარმოქმნის, რომლებსაც შეუძლია ვაგონი ლიანდაგიდან ჩამოაგდოს და საფრთხე შეუქმნას.

გასინჯვის პუნქტში გრაფიკით ოთხი ბრიგადა მუშაობს. აქ სადღელამისო სამუშაოა. ბრიგადაში ორმოცდაათამდე მუშაა. მოვალეობის გრძნობა და სინდისი ყველას უნდა ჰქონდეს, რადგან სახელმწიფო დოვლათი და ადამიანების სიცოცხლე მათზეა მინდობილი.

დამხარისხებელი სადგურის ტერიტორიაზე მუშაობაა გაჩაღებული. ლიანდაგებზე უწყვეტ ნაკადად მოძრაობენ სატვირთო მატარებლები. რკინიგზელები ვაგონებს შორის ფუსფუსებენ, კოშკურიდან იცქირებიან სადგურის მორიგე, მანევრირების დისპეტჩერი და ოპერატორი, რომლებიც მატარებლების განრიგს აცხადებენ.

— იჩქარეთ! ძველ მეშვიდეში „ბაქო“ გადმოაყენეს, ის ყველაზე ადრე უნდა გაამზადოთ! — ახსენებს თამარ ჯეგედარი მევაგონეებს.

— ყურადღებით იყავით! ახალ მეხუთეში „გურჯაანს“ ელმავალი მიებმება, — ახლა თამარის ხმა უფრო გამაფრთხილებლად ისმის.

— ფრთხილად, ახალ მეორიდან „სანაინი“ გადის,! — ღამის საათებში ვაჟკაცებს ქალის ხმა ძილს უფრთხობს.

გამსინჯველი „ავადმყოფი“ ვაგონის ნომერს უკარნახებს თავის ოპერატორს.. მანევრირების დისპეტჩერი ანზორ მანჩხაშვილი ნერვიულობს:

— ვეფხვებო! „გურჯაანი“ რატომ არ გადის?!

— ტალონი მიცემულია! წავიდეს, — რადიოთი უპასუხებს გამცილებელი როსტომ როსტიაშვილი.

— ააჩქარე შენი ზეინკალი ქალები, — გასძახის ანზორი.

აქ ოთხივე ბრიგადა პირველობისათვის იბრძვის. პირველობას კი მთელი წლის მანძილზე არავის უთმობს პირველი ბრიგადა, რომლის ბრიგადირიც არტუშ სოგომონოვია. სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულს გაშვებული ვაგონების რაოდენობითა და უავარიო მუშაობით ავლენენ.

მუშაობის დაწყებამდე ხუთწუთიანი შეკრება აქვთ. სოგომონოვი ბრიგადის წევრთა სიას კითხულობს, აფრთხილებს, — გულისყურით იმუშავეთ, . თუ რამე გაგიჭირდათ, შემატყობინეთ და მაშინვე თქვენთან გავჩნდებიო.

გამსინჯავი პუნქტის უფროსი ბორის კაციტაძე შეკრებებს ხშირად ესწრება. ის ვაჟკაცური სახის, პატარა ტანის ახალგაზრდაა. კარგად იცნობს რკინიგზელის ფსიქოლოგიას, იცის, ვის რა უჭირს ან ულხინს. ცდილობს წაახალისოს ადამიანები, მეგობ-

რულად გაუცინოს და შეაქოს.

— წასულ მორიგეობაზე კარგად იმუშავეთ, გეგმასაც გადააჭარბეთ და თქვენი გაშვებული მატარებლებიც ადგილებზე მშვიდობიანად ჩავიდა. დიდი მადლობელი ვარ და კვლავაც წარმატებას გისურვებთ. ჩემი თხოვნაა, ვაგონის კარი ღიაც რომ იყოს, არ შემარცხვინოთ და შიგ ხელი არ შეჰყოთ, — ხუმრობს და სიცილით უმატებს, — ხომ კარგად იცით, თქვენ იქ არაფერი შეგინახავთ.

რკინიგზელები დამსახურების მიხედვით ყველას მეორე სახელით ნათლავენ. დამწყებმა რკინიგზელმა ერთ თვეში ყველას მეორე სახელი იცის, თვის ბოლოს კი — საკუთარიც. პარტბიუროს მდივანს ვაჟა მახარობლიძეს „ოქრო" შეარქვეს. ვაჟა უაღრესად თავაზიანი, თავმდაბალი და შრომისმოყვარე ახალგაზრდაა. დაუსწრებლად სწავლობდა, თანაც მუშად მუშაობდა. უმაღლესი დაამთავრა და აქვე დარჩა. ამიტომაც, კიდევ უფრო შეიყვარეს რკინიგზელებმა. დღენიადაგ ესმით ვაჟას დარიგება:

— მეგობრებო, გახსოვდეთ, სატვირთო მატარებლის თვითეული გაცდენილი წუთი 22 მანეთით გვაზარალებს. თანაც გზებზე მოძრაობის გრაფიკი ირღვევა. ჩვენი წვლილი სოფლის მეურნეობის აღმავლობაში იმით შევიტანოთ, რომ დროულად გადავიტანოთ ვაგონებით სამშენებლო მასალა და მანქანა-იარაღები. ყურადღებით იყავით, ვაგონებიდან რამე რომ იღვრებოდეს ან იფანტებოდეს, სასწრაფოდ ამოქოლეთ.

...დილის რვა საათია. ღამის ცვლაში ნაშრომი ადამიანები ლიანდაგებზე გადმორბიან. ქალებსაც და კაცებსაც ერთნაირი სამუშაო ტანსაცმელი აცვიათ, მოთხუპნულებიც ერთნაირად არიან. დამწყები რკინიგზელი მათ შეხედვაზე გულიანად ხარხარებს. ისინი კი დაღლილი და უძინარი სახეებით დგანან და ამ ხარხარზე მუშა ადამიანის კეთილი ღიმილით იღიმებიან.

— რა გაცინებთ? — ეკითხება ბრიგადირი ახალბედას.

— აი, ასეთი ჭუჭყიანები, რომ არიან...

— ჭუჭყიანები კი არა, მაზუთიანები არიან, — უპასუხებს მოახლოებული კაციტაძე, — რომელსაც ბრიგადირი ანგარიშს აბარებს:

— ღამის მუშაობამ ნორმალურად ჩაიარა, 26 მატარებელი გავსინჯეთ და გავაცილეთ.

— არ შეშინდეთ, — ისევ ახალბედას მიუტრიალდება კაციტაძე, — ცხელი აბანო ელოდებათ, იბანავებენ და სუფთად გამოეწყობიან.

ზეინკალმა ქალებმა კი გულისტკივილით დაიჩივლეს: — ამ ტექნიკის განვითარების საუკუნეში მაზუთის ჭურჭლებს მთელ კილომეტრზე დავათრევთ. ნუთუ მილები არ იშოვება, რომ ცოტათი გაგვიადვილონ შრომა?! ლიანდაგებში მიწა და ნაგავი ყრია, ჩვენ კი სულ ფორთხვით დავდივართ!

კანონიერი მოთხოვნაა. სასურველია ყურად იღოს, ვისაც ამის მოგვარება ეხება!

**თინა მირზაანელი**

## ლია ასათიანი

### აპრილის ექო

ჩამოქქსოვოს ხშირი წვიმები
ვერცხლის ძაფებად თმების აბრეშუმს,
მერე დაიმსხვრეს ფანჯრის მინებზე,
მოისარკეოს გლუვი აბრები.

როგორც ნანატრი რამ, ნაადრევად
იგი არ გლლის და თავს არ გაბეზრებს,
როგორც დამდნარი თაფლის სანთელი
გიწყებს ფერებას სახის ნაკვთებზე.

მერე კი ფრთხილად გადუვლის ბალახს,
უცხო ჩრდილივით, ჩუმი შრიალით,
თითქოს მკალავმა ველი მოკალა,
გაათეთრებს და გააპრიალებს.

და დაარიგებს ძველი ვალივით
ველად გუბეებს, გზებზე ნიაღვრებს,
აპრილის წვიმა — ძალა სიცოცხლის
რომ ტრიალებს და ძარღვებს მიარღვევს.

მაგრამ, თუ გულში ბატონად გიზის
სპარქუშე და ექვი როყიო,
ნუ ელოდები ვიზიტის ბარათს
და კალენდარზეც უნდა მოხიო

აპრილის მზე და წვიმა აპრილის,
თორემ, იცოდე არ დაგიყოვნებს
და შემოგავლებს, როგორც გისოსებს
წვიმას, აპრილი, ვით მეციხოვნე.

და მწერს უმწეოს, ზურგზე მზის ჯვარით —
წვიმის ობობა ბადეში გახვევს,
გაგაფითრებს და გაგავსებს ჯავრით
და შავი დროშის მოგიგდებს ნაგლეჯს.

და გათქმევინებს ათას საყვედურს
ღმერთის, რომ არ გწამს
საბრალო მარტვილს,
წინ წასულს უკან რომ არ გახედებს
და არც წინმავალ კაცად რომ არ გთვლის.

დაე, წვიმებმა იიადონონ,
რომ გულისყური მათ სმენად გვეყოს.
თვით ჰარმონია გვყავდეს ბატონად
და გვაფხიზლებდეს აპრილის ექო.

### პანის სალამური

ბიძი ბებეჭკორს

ახხლეტილ ფრთებით
დაუცხრომელ გულთეთრა მერცხალს
ციდან ჩამოაქვს
მზით გამთბარი ქარების სკერცო.
თამამად ხაზავს გარდიგარდმო სივრცეებს
უცებ,
როგორც ნიშნებით აჭრელებულ სანოტო
ფურცელს,
რაც გეხმარება
სასწაული არსისა გეცნოს.
გარინდებული, მოლოდინით, კლავიატურა,
დიდოსტატურად აჟღერდება
კვლავინდებურად
და ცვარშეუშრობ, მოვარდისფრო
ზაფხულის დილით,
მერცხლის კამარას ადევნებული
ლექსის სტრიქონთან გამალიბი
მივდივარ, როგორც
თივის სურნელით გალაღებულ
ვაშლილ მინდორში,
ფარას მიჰყვება
ვარსკვლავკაბათი მოჩითული,
ელინი გოგო.

### გაზაფხული სამხედრო გზაზე

(ეტიუდი)

მჭრელი და ჭრელი
ქვა და მიწა,
გაწოლა ვეფხვის.
და ვეფხვის ხახად
დაღებული ნაპრალი კლდეში.
ფიქალ კლდეებზე
შემოსარტყულა ციხე-გალავნის,
როგორც თამარის

მაღალ წელზე
ოქროს ქამარი.
არაგვის წყალის აჟღერება
ჩხრიალა ხრეშით.
ქართული ეშხით
მზე მდგომი ზეშთით
და ზვავის ხეშტთან
გაზაფხული
ქალწულურფერში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მატჩი, რომელმაც ყველა აალელვა

მშრალი ციფრები ასეთია: მატჩი მსოფლიოს პირველობაზე მაია ჩიბურდანიძესა და ირინე ლევიტინას შორის მიმდინარეობდა 1984 წლის 11 სექტემბრიდან 23 ოქტომბრამდე, ქ. ვოლგოგრადში, გათამაშდა 14 პარტია (16-ის ნაცვლად), საბოლოო ანგარიშია 8,5:5,5 ჩიბურდანიძის სასარგებლოდ, რომელმაც კიდევ ორი წლით შეინარჩუნა მსოფლიოს ჩემპიონობა!

ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ თითოეულმა ჩვენგანმა რამდენი მღელვარება განიცადა ამ 43 დღის მანძილზე?! ეს იყო მატჩი, მსოფლიოს პირველობას რომ ეკადრებოდა და ჭადრაკის სამყაროში გულცივი არავინ დაუტოვებია.

მაია ჩიბურდანიძემ, ცხადია, იცოდა, ვის წინააღმდეგ თამაშობდა. მან მეტოქეს, ახლა თამამად შეიძლება ამის თქმა, ზუსტი დიაგნოზი დაუსვა. ლევიტინას, რომელმაც პრეტენდენტთა სამი მატჩი მოიგო, არასოდეს უთამაშნია ისე კარგად, როგორც ახლა. 30 წელი ჭადრაკში, ეს ის ასაკია, როცა დიდოსტატი თავისი ძალების სრულ გაფურჩქვნას აღწევს.

ირინე ლევიტინამაც ძალიან კარგად იცოდა, ვის წინააღმდეგ თამაშობდა. მისთვის და მისი სეკუნდანტებისათვის საიდუმლოება არ იყო ის ფაქტი, რომ მაია (ეს უამრავმა ადრინდელმა შეჯიბრებამაც გვიჩვენა) მძიმედ ატარებს პირველ შეხვედრებს, შემდეგ კი... ამიტომ პრეტენდენტმა გადაწყვიტა, ბრძოლა თავიდანვე გაემწვავებინა.

მაიას დიდ საჭადრაკო ავტორიტეტს არ შეიძლებოდა პრეტენდენტზე სათანადო გავლენა არ მოეხდინა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მათ მატჩამდე 6 პარტია ჰქონდათ ნათამაშები (ჩემპიონმა ორი მოიგო, ოთხი კი ყაიმით დასრულდა). მით უმეტეს პატივისცემის ღირსია ის ამბავი, რომ ლევიტინა თავიდანვე მამაცურად შეუდგა ბრძოლას. „შიში სხვა არა არის რა, თუ არა დროის ფუჭი დაკარგვა". — ამბობდა ინდირა განდი. და აი მართლაც, პრეტენდენტს დრო ფუჭად არ დაუკარგავს. იგი წინ იყო სამი პარტიის შემდეგ (2:1), წინ იყო 8 პარტიის შემდეგაც (4,5:3,5), მაგრამ, ნათქვამია ძალა აღმართსა ხნავსო...

პრეტენდენტი ჩემპიონისათვის „ასე თუ ისე, თანაბარი პარტნიორი მხოლოდ მატჩის პირველ ნახევარში იყო, შემდეგ კი... ჩვენი მრავალწლიანი დაკვირვებით, მაია ჩიბურდანიძეს სჭირდება ერთგვარი „გაცხარება". როცა იგი ცხარდება და ხელებს დაიკაპიწებს, ნებისმიერ სიძნელეს გადალახავს ხოლმე. მესამე პარტიის წაგებას ჩემპიონმა მეოთხის მოგებით უპასუხა და ოდნავაც არ გამწარებულა. აი მერვე პარტია, რომ წააგო, მაშინ კი შეტევაზე გადავიდა და თანაც როგორზე! მატჩის კულმინაცია მეცხრე-მეცამეტე პარტიებში დადგა. ჩემპიონის თამაში ამ პარტიებში მოვარდნილ ნიაღვარს ჰგავდა, რომელიც ყველაფერს წალეკავს ხოლმე. არა, მეტოქე იგივე იყო, ისევ ის ირინე ლევიტინა, რომელიც მცირე ხნის წინ ლიდერობდა კიდეც. უბრალოდ, ჩიბურდანიძემ დაიწყო თამაში ჩვეული ძალით, ეს ძალა კი ისეთია, რომ დღეისათვის ქალთა ჭადრაკის სამყაროში მას ვერაფერი (და ვერავინ) დაუპირისპირდება!

— დიახ, მატჩის პირველ ნახევარში რამდენადმე შებორკილი ვთამაშობდი. რა მოქმედებდა ჩემზე? უპირველეს ყოვლისა ის, რომ დამარცხების ნება არ მქონდა. ეს ჩემთვის (და მრავალი სხვისთვისაც) ნამდვილი ტრაგედია იქნებოდა. — გვითხრა მატჩის შემდეგ მაია ჩიბურდანიძემ.

— რომელ პარტიებს გამოყოფდით?

— შეჯიბრების პირველი ნახევრიდან მე განსაკუთრებით მეოთხე მომწონს. შემდეგ კი, ვფიქრობ, არაუშავს პარტიების მთელ სერიას (მეცხრე-მეცამეტე პარტიებს). მე მეთერთმეტე პარტია გამარჯვებამდე ვერ მივიყვანე, მაგრამ ვფიქრობ, სწორედ იგი წარვმართე მაღალ დონეზე.

ერთი სიტყვით, ჩემპიონს სრული საფუძველი აქვს ამ მატჩით კმაყოფილი იყოს. სპეციალისტებს დაამახსოვრდათ მისი ჩინებული თამაში ზოგი შეხვედრის დებიუტში, ლამაზად წარმართული იერიში და ღრმა მანევრები მიტელშპილში, საუცხოო ტექნიკა ენდშპილში. ერთი სიტყვით იგი საჭადრაკო პარტიის სამივე ფაზაში სჭარბობდა მეტოქეს.

რაც შეეხება პრეტენდენტს, არც მას აქვს რაიმე ავად მოსაგონარი. უბადლო მოჭადრაკესთან წაგება სათაკილო არ გახლავთ. ლევიტინა ცალკეულ პარტიებში მართლაც რომ მშვენივრად თამაშობდა. ამ განთქმულმა დიდოსტატმა სავსებით დაიმსახურა მსოფლიოს პირველობაზე მატჩის თამაშის უფლება და კარგადაც წარმართა იგი. მესამე და მერვე პარტიები მან დამსახურებულად მოიგო.

თქმა არ უნდა მაიას წარმატებას ხელი შეუწყეს მწვრთნელებმა, დიდოსტატმა გენადი კუზმინმა და ოსტატმა სერგეი იუფეროვმა. ისინი, თუმცა მაიას „შტაბში" ახლახან შევიდნენ, ჩემპიონისათვის მეტად საჭირო თანაშემწეები გამოდგნენ, ცხადია მათი თანამშრომლობა მაიასთან კვლავ გაგრძელდება.

ერთი სიტყვით, მატჩი რომელმაც ამდენი მღელვარება განგვაცდევინა, საბოლოო ანგარიშით, სრულიად ლოგიკური შედეგით დასრულდა. ჩემპიონი ჩემპიონად დარჩა, პრეტენდენტი კი — პრეტენდენტად. აქ ჩვენ იმას ვგულისხმობთ, რომ ირინე ლევიტინას, როგორც მსოფლიოს პირველობის მატჩის მონაწილეს, შემდეგში დიდი შეღავათები ექნება. 1986 წლის დასაწყისში იგი ყოველგვარი შერჩევის გარეშე მიწვეულია მსოფლიოს ჩემპიონობის 8 პრეტენდენტის ორწრიან მატჩ-ტურნირში და სრულიადაც არ არის გამორიცხული, რომ კიდევ ერთხელ მოიპოვოს მაიასთან შეხვედრის უფლება.

ადრე გამარჯვებული მსოფლიოს ჩემპიონი თავის წოდებას მთელი სამი წლით ინარჩუნებდა. ის „ოქროს ხანა" ახლა წარსულს ჩაბარდა. მაია ჩიბურდანიძემ უკვე 1986 წელს უნდა დაიცვას თავისი წოდება—სამწლიანი ციკლი ორწლიანით შეიცვალა. 1985 წელს ერთმანეთს მოჰყვება ზონალური და საზონათშორისო ტურნირები, რომლებზეც იმედს, ახლავე უნდა ვიფიქროთ, ბევრი მოჭადრაკე ამყარებს. 1986 წლისათვის, როგორც უკვე მოგახსენეთ, პრეტენდენტების ასპარეზობაა დანიშნული, ამავე წლის მეორე ნახევარში კი ახალი მატჩი მსოფლიოს პირველობაზე.

მაშ ასე, მსოფლიოს ჩემპიონს აღარა აქვს დასვენების უფლება — მაია ჩიბურდანიძე ყოველთვის მწყობრში უნდა იყოს. „კანონი მკაცრია, მაგრამ კანონია". ვინ შეიძლება გახდეს მაიას მომავალი მეტოქე? ვინ იცის! ჭადრაკში პროგნოზების მოყვარულნი არაერთხელ მწარედ მოტყუებულან. ჩვენც შევიკავოთ თავი და ყურადღებით ვადევნოთ თვალი მომავალ შესარჩევ შეხვედრებს — ისინი ბევრ რამ საინტერესოს გვპირდებიან.

გივი ბამრეკელი

შალვა ამონაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქალთა სათავე

## წერილი მეცხრე

სალამო მშვიდობისა, ჩემო კეთილო გოგონი!

მაშ, დავიწყოთ!

იყო და ჰრა იყო რა, იმაზე უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი...

ჰო, ზღაპარს გიყვები, რატომ შემაწყვეტინე? არ მოგენატრა განა ჩემი ზღაპრები? ადრე ზღაპრებს იმიტომ გიყვებოდი ხოლმე, რომ შენში წარმოსახვა და ფანტაზია განმევითარებინა, გაგეგო, როგორ ებრძვის ერთმანეთს კეთილი და ბოროტი, როგორ იმარჯვებს კეთილი და რა ძვირად უღირს მას ეს გამარჯვება. და, რა თქმა უნდა, გიყვებოდი კიდევ იმიტომ, რომ ტკბილად ჩაგძინებოდა ან გენახა სიზმრები, რომლებიც ისევ და ისევ შენს აღზრდას შეუწყობდნენ ხელს. ცუდი როდია სიზმრების ნახვა. სიზმრები რაღაც უცნაური ფილმებია, შენს ბედთან და ცხოვრებასთან დაკავშირებული, ვიღაცას მარტო შენთვის რომ გადაუღია და მარტო შენ გიჩვენებს, ისიც მხოლოდ ერთხელ, განუმეორებლად, თანაც ძილში, თანაც — ეკრანზე კი არა — პირდაპირ თვალებში! სიზმრებში თავად შენ ხარ მოვლენების მონაწილე, მთავარი გმირი, ლაპარაკობ, მოქმედებ, უმეგობრდები ან ეჩხუბები ადამიანებს; ზოგჯერ წარსულ ქცევას გაიმეორებ და ახლადა გამოუტყდები თავს, რომ უხერხული რამ ჩაიდინე; ზოგჯერ მომავალშიც გადახვალ და სანუკვარ სურვილებს შეისრულებ. მოკლედ, საოცარი ფილმებია სიზმრები, რას არ ნახავ, ვის არ შეხვდები, რომელ დროში არ იცხოვრებ! ზოგიერთები ამბობენ — სიზმრები უაზრობააო. ზოგიერთები კი სიზმრებში საკუთარ ბედისწერას დაეძებენ. სიზმრები არც უაზრობაა და არც ბედის გამოცანა. ჩემი აზრით, სიზმრები იმიტომ გაუჩნდა ადამიანს, რომ სამყარო, საკუთარი თავი, ადამიანები შეიცნოს. „როგორი ვარ მე, როგორი მინდა ვიყო, როგორია ჩემი ურთიერთობა ადამიანებთან?“ — განა ამ კითხვებზე არ ჩაგვაფიქრებს ხოლმე ჩვენი სიზმრები, თუკი არ დაგვეზარება და კარგად გავიაზრებთ ყველაფერს, რასაც სიზმარში ვნახულობთ? ვთქვათ, წუხელ დაგესიზმრებოდა, ვითომ ბაბუკა (მამის დედა) და ბებია (დედის დედა,— შენ და შენი ძმა ამ სახელებით განასხვავებთ ბებიებს) ერთმანეთს ესაუბრებოდნენ, ხან უხაროდათ, ხან კი იცრემლებოდნენ. ამ დროს შენ, ვითომ, მიუახლოვდი მათ. ბებიებმა თვალები სწრაფად შეიმშრალეს და გაგიცინეს. გინდოდა გეკითხა: „ბებიებო, ან რა გიხარიათ, ან რატომ იცრემლებით?“ მაგრამ ორივე ბებია რაღაცნაირი საოცრებით ერთმანეთში აირია და შენს წინ ზღვა გადაიშალა. ამ დროს კიდეც გაგეღვიძა. რას გააკეთებდი დღეს, წუხელ ასეთი სიზმარი რომ გენახა? იქნებ მარჩიელობას დაიწყებდი — რას უნდა ნიშნავდეს სიზმარში ბებიებისა და ზღვის ნახვა? ან იქნებ ამოიგდებდი სიზმარს თავიდან? მაშინ ვერ დაგეხმარებოდა ეს სიზმარი საკუთარი თავის აღზრდაში. მე მგონია, შენ სხვანაირად მოიქცეოდი. ალბათ, ჯერ ერთ ბებიას მოეფერებოდი, მერე მეორეს და დაჟინებით ჩაეკითხებოდი: რამე ხომ არ გაწუხებთო. არაო, გეტყოდნენ ბებიები, ოღონდაც შენ იყავი კარგად, სანაქებო ადამიანი გაიზარდე და ჩვენ მეტი არა გვინდა რაო. „მაინც, მაინც?“ — არ მოეშვებოდი ბებიებს. და მაშინ გაიგებდი, რომ ბებიებისთვის დღევანდელი დღე განსაკუთრებით მწარე მოგონებათა დღეა, ორმოცი წლის წინანდელი ტკივილები ვერცერთს ვერ მოუშუშებია.

„მარუსი, იყავი კარგად, გაუძელი, როგორც იყოს; მოუარე შვილებს, კარგ ადამიანებად გამიზარდე. შენს თავსაც გაუფრთხილდი. მე თქვენი დარდი მაქვს, რაღა გელაპარაკოთ“. ეს ეწერა მამაჩემის წერილში, რომელიც ბაბუკამ უკანასკნელად მიიღო. შვილები გაიზარდნენ, მამას დიდი ხანია გაუსწრეს ასაკით, ოჯახები შექმნეს, ხალხშიც არ იცნობენ ცუდად. „თქვენი ბაბუა კი, — გეტყოდა ბაბუკა და თვალები აუცრემლდებოდა, — ფრონტზე დაიღუპა... წყეული იყოს ომი და ისიც, ვინც ომს ატეხავს!“ — აი ასე აგიცხადდებოდა სიზმარი...

მართლა, ზღაპარს გიყვებოდი, კინაღამ დამავიწყდა!

იყო და არა იყო რა, იმაზე უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი საზიზღარი იხვის ჭუჭული.. არა, იხვის ჭუჭული კი არა (იხვის ჭუჭული ანდერსენის ზღაპარშია, შენ რომ ზეპირად იცი), იყო ერთი „საზიზღარი“ ჩვილი გოგონა, ქათქათა თეთრეულში გახვეული, თვითონ კი შავი, უშნო, დაჭყანული და მჩხავანა. საზიზღარი იყო, აბა რა, დღეში თორმეტჯერ იხვეულებდა და თორმეტჯერ იხვრებოდა...

რატომ მაწყვეტინებ ზღაპარს? — ვერ მიხვდი განა, ვისზეა ეს ზღაპარი? — შენზეა, ვისზე უნდა იყოს? შენ ამ ზღაპრის მთავარი გმირი ხარ. ასე მიყვებოდა ზღაპრებს მამაჩემიც: მე მისი ზღაპრების მთავარი გმირი ვიყავი, ყველანაირ სიკეთეს, გმირობას, თავდადებას მაბრალებდა. მამაჩემის ზღაპრებში ათასნაირი ხიფათი და განსაცდელი გავიარე, ცხრა ზღვა ცხრაჯერ გადავცურე, ცხრა მთა ცხრაჯერ გადავლახე, მეცხრე ცაზეც ცხრაჯერ ავედი, ცხრაკლიტულიდან მზეთუნახავი დავიხსენი, ცხრათავიან ბაყბაყ დევს ცხრავე თავი მოვაჭერი, მაღალ კლდეებში მიჯაჭვული ამირანიც ცხრაჯერ გავათავისუფლე. ხომ ნახევარ საუკუნეს გადავაბიჯე, მაინც ვნატრობ, მამა ცოცხალი მყავდეს და ზღაპრებს მიყვებოდეს. დღეს მამაჩემის წერილები გადავიკითხე, ფრონტიდან რომ მიგზავნიდა. 1942–1943 წლებში, როცა ამ წერილებს ვღებულობდი, 11-12 წლის ბიჭი ვიყავი. სოფლად ვსწავლობდი, სკოლაში შტაბის უფროსად ამირჩიეს და ამხანაგებს ომობანაში ვავარჯიშებდი. კავკასიის მთებიდან კი ყოველდღიურად ისეთი გრუხუნი ისმოდა, სოფელში ფანჯრებს ზრიალი გაჰქონდა. რამდენჯერმე სოფლის თავზე გერმანელების თვითმფრინავმაც გადაიფრინა. გლეხები გარეთ გამოცვივდნენ, დამუშტული ხელები საზენიტო არტილერიის ლულებივით დაუმიზნეს და იმისთანა მუქარიანი ყვირილი და გინება აუტეხეს, რომ დაფეთებული თვითმფრინავები უკანმოუხედავად გაიქცნენ. მაშინ მამაჩემის წერილები სიამაყით მავსებდა: მამაჩემი ფრონტზეა, რას დაგვაკლებენ ფაშისტები! დღეს კი, ორმოცი წლის შემდეგ, იმავე წერილებში ჩემი ნამდვილი მამა, ახალგაზრდა მამიკო დავინახე: „წერილები გამომიგზავნე, ჩემო საყვარელო ბიჭო“, „შორიდან გკოცნი ძალიან ბევრს, ჩემო ბიჭო, მომიკითხე ჩემი საყვარელი პატარა ნათელა, ჩემს მაგივრად დამიკოცნე ჩემი ნათო“, „ჩემო ვაჟკაცო, გაუფრთხილდი დაიკოს, არ ატირო, ცოდო არის ჩვენი პატარა ნათო“, „რატომ წერილებს არ მწერ, შე მამაძაღლო, რაშია შენი საქმე?“... იმ უკანასკნელ წერილში კი მამამ ჩემთვისაც ჩაწერა რამდენიმე სტრიქონი: „ჩემო საყვარელო ბიჭო, იყავი კარგად, ისწავლე ფრიადზე. მოუარე, გაუფრთხილდი დედას და დაიკოს. ჩემი დარდი კი სულაც ნუ გექნება“. ქაღალდის მთელი ერთი გვერდი მამას დაუწერელი დარჩა, ნამდვილად დრო არ ჰქონდა, ორიოდე სიტყვაც მიეწერა, თორემ სათქმელის მეტი რა ექნებოდა! სხვა წერილებში ერთი ასოს ჩასაწერ ადგილს ვერ იპოვი, აქ კი — მთელი გვერდი! მამაჩემის

წერილებში მოწურწულე ალერსი, მამაჩემის ბოლო დაძახილი დღემდე მომყვება, შვილო, როგორც მოწოდება, რომ მეც — მისი სისხლი და ხორცი — მივყვე მის საქმეს. „ხომ ჯავშანი ჰქონდა, რატომ წავიდა ფრონტზე?" — მკითხა ერთმა ამხანაგმა, როცა მეხუთე კლასში ვიყავი. მაშინ ვერ ვუპასუხე მას კარგად. რატომ წავიდა მილიონობით საბჭოთა ადამიანი ფრონტზე მოხალისედ? — ადვილი სათქმელია! იცი, რა არის რწმენა? რწმენა ძალაა, შვილო, ყველანაირ ძალთა სათავეა, ძლიერი მაშინ ხარ, როცა გწამს, ხოლო თუ კეთილშობილ საკაცობრიო იდეალს შეუპყრიხარ, მაშინ უძლიერესი ხარ ფიზიკურადაც და სულიერადაც. მამაჩემი თორმეტი წლის ბიჭი იყო, როცა ლენინს ვაჭარ და მევახშე მამას სოფლიდან გამოექცა და თბილისში ხტამბის მუშად დაიწყო მუშაობა. ცამეტი წლისა კომკავშირელი გახდა, არალეგალურ კრებებში მონაწილეობდა, ფურცლებს ავრცელებდა, იბრძოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის.

მე არ ვიცი, რა შეიძლება ვუწოდოთ ადამიანს, ვისაც არაფრის რწმენა არა აქვს, მაგრამ ის კი ვიცი, რა შეიძლება დავარქვათ იმას, ვინც საკუთარ რწმენად კაცობრიობის ყველაზე დიდი იდეალი გაიხადა — კომუნისტი. მამაჩემი ამაყობდა ამ წოდებით და როგორ შეეძლო არ წასულიყო ფრონტზე, როცა მის რწმენას მოსპობა ემუქრებოდა. ამ რწმენაში იგულისხმებოდა სამშობლო, რომელმაც ახალ ცხოვრებაში შედგა ფეხი და რომლის დღეგრძელობასაც ლამაზი სიტყვები ვეღარ შველოდა. არსებობს სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარულის გამოვლენის ერთადერთი გზა — მის საკეთილდღეოდ მოქმედება. რწმენაშა და სამშობლოში ვიგულისხმებოდით ჩვენც — ოჯახი, ცოლი, შვილები, ახლობლები, რომლებსაც მოძალადეებისაგან დაცვა გვჭირდებოდა. ამიტომ წავიდა მოხალისედ ფრონტზე. წავიდა კიდევ იმიტომ, რომ საკუთარი რწმენა ჩემშიც ჩაენერგა და, თითქოს, მამაჩემი ახლა ჩემში ჩასახლდა. მე მწამს, რომ ეს ქვეყანა, ეს სამშობლო ჩვენია, რომ ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა, რომ ჩვენ ერთმანეთისათვის გავჩნდით. მე XX საუკუნის მეორე ნახევრის კომუნისტი ვარ და ახლა იმაზე ვფიქრობ, რა გავატანო ჩემს ქალიშვილს იქ — XXI საუკუნეში შვილიშვილებთან და შვილთაშვილიშვილებთან. რა გავატანო ისეთი, რომ მამაჩემის ეპოქა, ჩემი ეპოქა იმ მომავალ ეპოქაში ღირსეულად დააფასონ? რას გავატან და ჩემი შრომით გასაგნებულ რწმენას. გავატან კიდევ მამაჩემის ფრონტულ წერილებს, გავატან გაცრეცილ, ყავისფერფურცლებიან რვეულებსაც, რომლებშიც შენი მეორე ბაბუა (დედის მამა, შენს დაბადებამდე ხუთი წლით ადრე რომ გარდაიცვალა) თავის ფრონტულ ამბებს აღწერს: „ჩვენ ვუახშმობდით, როცა მოულოდნელად სამი თვითმავალი ქვემეხი „ფერდინანდი", რომელსაც გასროლის ხმაზეც კი ვცნობდით, ჩვენს განლაგებას სამინელი ჭექა-ქუხილით დაატყდა თავს. სულ 30 წუთი გრძელდებოდა ეს სიკვდილის მთესველი დაშენა. რამდენი ხელის მტევანი, რამდენი ადამიანის გვამი ეგდო მიწაზე ამ დაშენის შემდეგ! კვნესა, დახმარების თხოვნა და სიკვდილის წინა აგონიის ხმები ყველაფერს ძრავდა! მაგრამ იყვნენ ადამიანები, რომლებიც არ შემდრკალან და გაუგონარი სიმამაცით იტანდნენ მოზღვავებულ უბედურებას. ნაუმენკოს მარცხენა გულისჯიბიდან ამოღებული ნატყვიარი პარტიული ბილეთი და ჯერ კიდევ შეუმშრალი სისხლით დალაქული მისი პატარა ბიჭუნას სურათი მოწმობდა, თუ სად იყო ადგილი სასიკვდილო ჭრილობისა. ხშირად სადმე მიწურში შესვენების ჟამს ნაუმენკო ამოიღებდა ხოლმე თავისი ერთადერთი ბავშვის სურათს და დიდხანს, ძალიან დიდხანს ან იმდენხანს, რამდენსაც ბრძოლა აცლიდა, მისჩერებოდა ამ პატარა სახეს და მერე გვეტყოდა: თუ დავიღუპო, ამ სურათს ნუ მომაშორებთო. კაცი, რომელიც ბრძოლებში მხნეობისა და იმედის განსახიერება იყო, მეტად გულჩვილი და მგრძნობიარე მამა აღმოჩნდა".

აი, ასეთი ამბებია ჩაწერილი ამ რვეულებში. ბევრი უნდა უამბო შვილებს წინაპრებზე, სხვანაირად როგორ აღზრდი მათ პატრიოტებად? იკმარებს განა ლამაზი მთებით ტკბობა, რომ ეს მიწა-წყალი სამშობლოდ განიცადო? კაცს რომ წინაპრები ჰყავდა ამ მიწა-წყალზე, რომ ეამაყებოდა მათი საქმეები, — იმიტომ შეუყვარდება სამშობლო, თუნდაც გახრიოკებული. შენ კი, ჩემო ძვირფასო, ხშირად მიდი ხოლმე ბაბუას საფლავზე, ინახულე ხოლმე უცნობი ჯარისკაცის საფლავიც, ვითომ მამაჩემის დაკარგული საფლავი ყოფილა, დააწყე ყვავილების კონა და რამდენიმე წუთს იქვე იფიქრე შენს მოქალაქეობრივ ვალზე, შვილებიც დაარიგე, რომ ასევე მოიქცნენ...

სულ დამავიწყდა, რით დავიწყე!

ზღაპარს გიყვებოდი იხვის ჭუჭულზე... ოპ, იხვის ჭუჭულზე კი არა, „საძაგელ" გოგონაზე, დღეში თორმეტჯერ რომ ისვრებოდა და თორმეტჯერ ისვრებოდა, ჭყაოდა და სახვევებიდან ძვრებოდა. იყო და არა იყო რა, ამაზე უკეთესი სანახაობა რა იქნებოდა! ვინ მოუვლის ამ საძაგელ არსებას? — იკითხა დედამ, როცა ჩვილმა იმდენი იქნია ფეხები, ვიდრე სახვევებიდან არ ამოძვრა. ბებიამ „საძაგელი" არსება ფრთხილად აიყვანა და თბილი წყლით სავსე აბაზანაში ჩაუშვა. „საძაგელმა" არსებამ ფეხები ააფართხალა და ბებიას სახეში შხეფები შეასხა. „ოპ, შე მართლა საძაგელო!" — გაწყრა ბებია...

ახლა რაღატომ მაჩერებ, ვერ მიხვდი განა, ვინ ბებიაზე ვლაპარაკობ? ბებიამ ხელი გაგიშვა, რომ თვალები მოეწმინდა, შენ კი ისარგებლე, ორთავ ხელითა და ფეხით დაუწყე წყალს ტყაპუნი... მაშინ ბებია შედარებით ახალგაზრდა იყო, ამ ბოლო წლებში კი მოტყდა, შვილო, ბებია, ორივე ბებია მოტყდა. ისინი სიბერეში შევიდნენ. გავუფრთხილდეთ უნდა ბებიებს. რა არის, თუ იცი, სიბერე? ასაკი? სახის ნაოჭები და თეთრი თმა? არა? არა, ასაკი და ნაოჭები არაფერია! სიბერე განვლილი ცხოვრების ხსოვნაა, წუხილია დაკარგული ადამიანების გამო, შიშნარევი, შფოთიანი ფიქრია შვილების, შვილიშვილების მომავალზე, დაბრძენებულ-ბავშვური გულუბრყვილო პროტესტია: როგორ შეიძლება კიდევ არსებობდეს სადმე ბოროტება, რატომ მას დაუყოვნებლივ არ სპობენ, აჩუყებული გულია, რომლისთვისაც შვილიშვილის გულწრფელი მოფერება ამქვეყნიურ სურვილთა ასრულებად განიცდება. ხომ არ გიკითხავს დღეს რომელიმე ბებიისათვის, რა სიზმარი ნახეს წუხელ? მე მგონი, ახლანდელი ბებიების სიზმრებში ყველაზე ხშირად ცოცხლდებიან ორმოცი წლის წინანდელი ამბები — ომი, შიმშილობა, გაჭირვება, ცრემლების ღვარი უსაყვარლეს ადამიანთა დაღუპვის გამო. იქნებ იმასაც ნახულობენ, ვითომ ახლა შვილიშვილები მიდიან საომრად, ახლა მათი სისხლი იღვრება? ოჰ, მოხუცებულობას რომ შეეძლოს! გაუშვი ასეთი სიზმრების შემდეგ ორი ბებია რეიგანთან და იქვე [illegible] ორთავ თვალს! როგორ აპატიებენ [illegible] რომ ახალ ომზე ილაპარაკოს, რაკეტები დაგვიმიზნოს, ნეიტრონული ბომბებით დაგვემუქროს! ბებიები ყველაზე მშვიდობისმოყვარე ხალხია ამ ქვეყნად. იმიტომ კი არა, რომ ფიზიკურად დასუსტდნენ და თავს უფრთხილდებიან, არამედ იმიტომ, რომ მათ ყველაზე მეტი და ძლიერი ტკივილები განიცადეს, ქმრები, შვილები, ძმები, ახლობლები დაკარგეს. ამიტომაც მფარველი ანგელოზებივით დაჰკანკალებენ ცოცხლად დარჩენილ და ახლად გამრავლებულ თაობას, იცავენ პლანეტის ადამიანებს, იცავენ თავად პლანეტას — ამ პაწაწინა, უმწეო და უბოროტო ბურთს...

იყო და არა იყო რა...

ეჰ, გამექცა ზღაპარი!

როგორ მინდოდა მეამბნა შენთვის ხალისიანი ზღაპარი „საძაგელ" გოგონაზე, მაგრამ ძნელი ყოფილა 22 ივნისის დღეს ზღაპრების მოყოლა! ხომ არ გეწყინება, შემდეგისთვის რომ გადავდო?!

ტკბილ ძილს გისურვებ, ჩემო ძვირფასო, მშვიდ და უსიზმრო ძილს.

**შენი მამა**

22 ივნისი

# მანანა მენაბდე

„ტალანტზე ბევრი არ უნდა ილაპარაკო, მას უნდა მოუსმინო, მანანა მენაბდე ჭეშმარიტად უნიკალურია. ეს ნამდვილი ხელოვნებაა". ასე შეაფასა იგი არკადი რაიკინმა.

ბედნიერია ის ადამიანი, ვინც სიცოცხლეში ერთგულად და ნაყოფიერად ემსახურა თავის ქვეყანას, თავის ხალხს, აჩუქა მას ბევრი სიხარული, ხოლო, ამ სოფლით გასვლის შემდეგ, დატოვა უკვდავი ხსოვნა და ნიჭიერი მთამომავლობა, რომელთან შეხვედრა დღესაც გულს გაუხარებს თანამემამულეებს, იმათ, ვისთვისაც სიმღერა არის ყოველგვარი სიკეთის, ამაღლებულის, რწმენის საწყისი.

დებ იმხნელებზე მოგახსენებთ, „ქართული სიმღერის კორიფეებზე", რომლებმაც საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი ქართულ მუსიკას, ქართულ მელოდიას.

მოგონებები, მოგონებები...

სამამულო ომის პერიოდში იმხნელების ტკბილი და გულში ჩამწვდომი, პატრიოტიზმით აღსავსე სიმღერები საბრძოლოდ განაწყობდა, გმირობისაკენ, სამშობლოსათვის თავგანწირვისაკენ მოუწოდებდა საბჭოთა მებრძოლებს, რწმენას უნერგავდა. სიმღერა ტკივილს აყუჩებსო და, ქართველი ქალებიც მღეროდნენ სულით, მთელი გატაცებით, სიმღერა უამებდა დაჭრილთ იარებს, უბრუნებდა სიცოცხლის, გამარჯვების იმედს.



თამარ იმხნელი და მანანა მენაბდე    გ. თუშიშვილის ფოტო.

სიმღერა იბრძოდა, სიმღერა იმარჯვებდა.

ნიჭი კი, საბედნიეროდ, გადადიოდა თაობიდან თაობაში, დედიდან შვილში, დიდედიდან შვილიშვილებში. ამჟამად ოთხი დიდან ცოცხალია ერთი და, — რესპუბლიკის სახალხო არტისტი თამარ იმხნელი, ხოლო მისი შვილიშვილი მანანა მენაბდე თავის სახელოვან წინაპართა ტრადიციის ღირსეული გამგრძელებელია.

იგი ოთხი წლისა ეზიარა მუსიკას. თავდაპირველად მამა ამეცადინებდა. პროფესიით ინჟინერს ჩინებული ხმა ჰქონდა და თავის დროზე სანდრო ინაშვილთანაც მეცადინეობდა, კარგად მღეროდა მანანას დედაც. გოგონა ხშირად ესწრებოდა დები იმხნელების რეპეტიციებს, პატარა, სათუთი თითებით ეპოტინებოდა გიტარის სიმებს, ეუფლებოდა პირველ აკორდებს. გამოდიოდა სასკოლო საღამოებში. მე-9 კლასში მონაწილეობა მიიღო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გამართულ კონკურსში და, ჯილდა დათუაშვილთან ერთად, გახდა ლაურეატი. შემდეგ იწყება მანანა მენაბდის, როგორც პროფესიონალი მუსიკოსის ჩამოყალიბების პერიოდი, სწავლების წლები... გამოცდას აბარებს რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, პარალელურად მღერის ანსამბლ „რეროში", შემდეგ სწავლას აგრძელებს მოსკოვის ლუნაჩარსკის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში, სარეჟისორო ფაკულტეტზე, რომლის დამთავრებისთანავე მიემგზავრება ქალაქ კრასნოდარში. ანსამბლ „ივასთან" ერთად ამუშავებს საინტერესო პროგრამას. რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ მუშაობას იწყებს საქართველოს ტელევიზიის საესტრადო განყოფილებაში რეჟისორად. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში სიმღერა იყო მისი განუყოფელი თანამგზავრი, საზრდო და მალამო სულისა.

შეკითხვაზე, მოსწონს თუ არა ბებიას მისი სიმღერები, მანანა ამბობს: „არცერთი საკონცერტო ნომერი ისე არ გამაქვს სცენაზე, ბებიას „ვიზა" რომ არ ჰქონდეს. ის არის ჩემი მასწავლებელი და მსაჯული. ქალბატონი თამარის აზრით, მანანა მენაბდე ქართულ სიმღერებსა და რომანსებს არ უკარგავს იმხნელების სტილს, ოღონდ, ახლებურად ასრულებს, აძლევს თავისებურ ელფერს, მიმართულებას და ბებიასაც სწორედ ეს მოსწონს. ახლო მომავალში ფირმა „მელოდია" მანანა მენაბდის შესრულებული სიმღერების ფირფიტას გამოსცემს.

მომღერლის შემოქმედება არ შემოიფარგლება მხოლოდ საშემსრულებლო ხელოვნებით, მანანა თვითონაც ქმნის მუსიკას, აკომპანიმენტს ძირითადად გიტარაზე ასრულებს. თუმცა ურჩევენ, მაგრამ იგი საგანგებოდ არ იყენებს ექვსსიმიანი, კლასიკური გიტარის დიდ შესაძლებლობებს, არ „ღალატობს" ტრადიციას და იმხნელისეულ შვიდსიმიანს არჩევს.

დღეისათვის მომღერლის რეპერტუარშია: იმხნელების, ბულატ ოკუჯავას, სი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონ კირსანოვის, ანა კალანდაძის, ინოლა გურგულიას, ალექსანდრე ვერტინსკის, უცნობ ავტორთა, საკუთარი და უცხოური სიმღერები. მანანას ყოველი გამოსვლა პატარა მონოსპექტაკლია, რომელსაც მარტო კიდეც მღერის და კიდეც ასრულებს.

— მომღერალმა ყველაფერი უნდა შესძლოს, დიდ მსახიობებად ვთვლი იმათ, ვისაც შეუძლია თანაბარი სიძლიერით შეასრულოს როგორც დრამატული, ისე სახასიათო როლები, მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ განსხვავებული არტისტები: პიაფი, ბრელი, ბროსენსი, ჩვენი პუგაჩოვა, — ამბობს მანანა.

მ. მენაბდე, ბოლო წლებში, სახვითმა ხელოვნებამ გაიტაცა და მოკლე ხანში დიდ წარმატებებსაც მიაღწია. თუმცა მარტო მხატვრობა არ გახლავთ მუსიკოსის ჰობი, უყვარს პოეზია, წერს ლექსებსაც. მაგრამ მისი ყველაზე სერიოზული გატაცება მაინც კინოხელოვნებაა. ერთხელ სცადა კიდეც საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტში გამოცდების ჩაბარება, მაგრამ... საბოლოოდ მაინც აუსრულდა ნატვრა და რეჟისორ ლანა ღოღობერიძის ფილმში („დღეს ღამე უთენებია") მოხეტიალე ბერიკას როლი შეასრულა, სადაც საკუთარ სიმღერებს მღერის (ფილმმა მონაწილეობა მიიღო კანის საერთაშორისო ფესტივალში).

— მე ბედმა გამიღიმა, — ამბობს მ. მენაბდე, — რომ მუშაობა მომიწია აღიარებული ოსტატების — ფილმის კომპოზიტორ გია ყანჩელისა და რეჟისორ ლანა ღოღობერიძის გვერდით.

ამჟამად, სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი მანანა მენაბდე ბევრს მოგზაურობს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში, გამოდის სოლო კონცერტებით. შარშან თბილისის ახალგაზრდულ კლუბ „ამირანში" შედგა მისი ახალი პროგრამების პრემიერა, სადაც მომღერალი ახალი ამპლუით მოგვევლინა — მონაწილეობა მიიღო ქართულ ჯაზში პიანისტ ნიკოლოზ ქაშაყაშვილთან ერთად და დიდი მოწონებაც ხვდა.

დღეს მომღერალი კვლავ ეძიებს სიახლეს, ოცნებობს გადაიღოს ფილმი. დიდი სურვილი აქვს პირველი ნამუშევარი თავის სახელოვან წინაპრებს — იმხნელებს მიუძღვნას. სცენარი უკვე მზად არის, იგი ახალგაზრდა ფილოლოგ თამარ ებრალიძესთან ერთად დაიწერა. უნდა ვიფიქროთ, რომ ფილმი ისეთივე დიდი ოსტატობითა და გემოვნებით შეიქმნება, როგორიც მ. მენაბდის სიმღერები და ნახატებია. და ეს ქართველი მომღერლის კიდევ ერთი შემოქმედებითი გამარჯვება იქნება.

ბედნიერია ნიჭიერი ადამიანი, ვინც თავის ერს დაუტოვა მშვენიერი შთამომავლობა, რომელსაც ხალხი არ ივიწყებს.

ადამიანი მიდის,
ხელოვნება რჩება.

გივი თუშიშვილი

# რუთა ბერიძე



იმ დღეს ჩვეულებრივად დავრეკე და შენი ჯანმრთელობა მოვიკითხე.

ყურმილი შენ გადმოგცეს.

— ამოდი, გენაცვალე, საქმე მაქვსო...

ვაი, რომ ცოცხალს ვერ მოგისწარი.

ვინ იცის, რა სათქმელი გქონდა, ეგებ წინა დღეებში დაწყებული საუბრის გაგრძელება გსურდა, ჩვენს დიდებულ ადამიანებს ელო ნაზარიშვილსა და ნიკო მეფისაშვილს რომ ვიგონებდით, ეგებ არქეოლოგიური გათხრების უკანასკნელი მონაპოვარი გაინტერესებდა, შენ ხომ უჩვეულოდ გიყვარდა ქუთაისი, ბაგრატი და რიონი, და რა სათუთად უმღერე მშობლიურ ქალაქს და ბოლომდე მისი ერთგული ბინადარი დარჩი.

თითქმის ორმოცი წელი ერთად ვშრომობდით და ვმოღვაწეობდით ქართული მწერლობის ქუთათურ ოჯახში. მიხაროდა შენთან ერთად, მწყინდა შენთან ერთად.

მახსოვს, საჯარო ბიბლიოთეკაში აღვნიშნეთ შენი დაბადების 60 წელი. როგორ მოგეფერენ ქუთათურები, შენი ლექსის და ჟურნალისტური მოღვაწეობის დამფასებლები.

ერთი ადამიანის მოქალაქეობრივი ტვირთი მუდამ იყო შენი საგზალი.

მიდიხარ ვალმოხდილი...

მშვიდობით მეგობარო!

საფიჩხიის ბინადარ ძველ ქუთათურებს შენი სახელიც შეემატა და ჭადრის ფოთლებში მოფათქუნე ქარი ისევ გაიმეორებს შენს მშვენიერ სტრიქონებს:

რანაირია ღმერთო!
ამ წუთისოფლის აწმყო,
რა იშვიათად ვხედავ
ქუჩაში ტოლს და ნაცნობს.

საფიჩხიაზე ძველი
ქუთათურობა სახლობს,
წუთი ყოფილა მართლაც
წუთისოფელი, ხალხო!.."

ლილი ნუცუბიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# პუშკინის სახელმწიფო მუზეუმში

მოსკოვის სახელმწიფო ა. ს. პუშკინის მუზეუმი მეტრო „კრაპოტკინსკაიასთან“ მდებარეობს. შორიდანვე შეამჩნევთ ამ ლამაზ შენობას, სადაც 25 წლის წინ (დაარსების პირველ, 1959 წელს) ირაკლი ანდრონიკოვი გამოვიდა თხოვნით, ადამიანებს ახლადდაარსებულ, თითქმის ცარიელ მუზეუმში მოეტანათ ხელნაწერები, პორტრეტები, წერილები, — ყველაფერი, რაც დიდი პუშკინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეხებოდა.

და მართლაც, პოეტის ლექსებზე შეყვარებულ ადამიანებს მოჰქონდათ და მუზეუმის თანამშრომლებს უსასყიდლოდ აბარებდნენ ყველაფერს, რაც პუშკინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან იყო დაკავშირებული.

ცნობილი პუბლიცისტის ნ. ნ. როზენოვის მეუღლემ ქ. ვ. მარტიშევსკაიამ ქმრის სიკვდილის შემდეგ მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცა მდიდარი ბიბლიოთეკა.

ჩემის აზრით, ეს ერთ-ერთი საუკეთესო მუზეუმია თავისი ექსპოზიციით. აქ ხშირად ეწყობა საღამოები, რომლებზეც გასამრჯელოს გარეშე გამოდიან მწერლები, მხატვრები, მომღერლები, მხატვრული კითხვის ოსტატები, პიანისტები. ეს ხალხის მიერ შექმნილი მუზეუმია.

ყოველივე ამას ისე გატაცებით მიყვება მუზეუმის თანამშრომელი, ლიტერატურული მუშაკი, ჩვენი თანამემამულე ლია ორაგველიძე, რომ არც კი მინდა თხრობა შევაწყვეტინო. მაინც ვეკითხები: — ქართული საღამოები? — ქართული საღამოები ჩვენთან ხშირად იმართება. ამ საღამოებს ძირითადად მე ვაწყობ ხოლმე. ვიწვევთ ქართული კულტურის მოღვაწეებს. ამ ცოტა ხნის წინ მუზეუმში გვქონდა საღამო „ქართველი პოეტები პუშკინს“, რომელშიც მოსკოველმა ქართველმა პოეტებმა მ. ქვლივიძემ და ბ. ოკუჯავამ მიიღეს მონაწილეობა. ახლა დავალებული მაქვს მუზეუმში მოვიწვიო ცნობილი პიანისტი ე. ვირსალაძე და სახელგანთქმული მომღერალი მ. ქასრაშვილი.

ლია ორაგველიძე თბილისშია დაბადებული. საშუალო სკოლისა და ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მან საჯარო ბიბლიოთეკაში დაიწყო მუშაობა. მერე კი ისე მოხდა, რომ მოსკოვში შექმნა ოჯახი. მალე ვაჟიშვილი შეეძინა და აი, უკვე 23 წელია ქმარ-შვილთან ერთად მოსკოვში ცხოვრობს. მისი შვილი საავიაციო ინსტიტუტის მე-5 კურსის წარჩინებული სტუდენტია.

— თქვენმა შვილმა იცის ქართული?

— იცის. პატარაობიდანვე ქართულ დედა-ენას ვუკითხავდი. დედა-ენას აბა, როგორ არ ვასწავლიდი! თითქმის ყოველ წელიწადს ჩავდივართ საქართველოში...

დარბაზში შევდივართ, იშვიათ ექსპონატებს ვათვალიერებთ. ისევ საქართველოზე ვსაუბრობთ. ქალბატონ ლიას ერთ-ერთ ექსპონატთან მივყავარ: — აი, ეს XIX საუკუნის პირველი ნახევრის უცნობი მხატვრის მიერ შესრულებული სურათია, „კავკასიონის ხედი“. მის ქვევით პოემა „კავკასიელი ტყვის“ პირველი გამოცემაა მოთავსებული. აქვეა ა. ს. პუშკინის მიერ დახატული სურათები, რომლებზეც აღბეჭდილია მთები, მთიელის ქოხი, მთიელი ფაფახით...

მე-3 დარბაზში უამრავ ექსპონატს შორის ვცდილობ დავინახო ექსპონატი, რომელიც საქართველოს ეხება — ვერ ვახერხებ. ისევ ქალბატონი ლია მეხმარება. პატარა მაგიდასთან მივყავარ. მაგიდაზე ა. ს. პუშკინის წიგნის „მოგზაურობა არზრუმში“ პირველი გამოცემა დევს.

— აი, პოეტის მიერ დახატული მთიელი ცხენით, მისივე ავტოპორტრეტი კავკასიაში მოგზაურობის დროს. ეს კი — სადგურის ზედამხედველებთან მიწერილი საფოსტო წერილია, როცა ა. ს. პუშკინი სანკტ-პეტერბურგიდან თბილისამდე მოგზაურობდა.

შემდეგ ქალბატონი ლია მხატვარ ნ. გ. ჩერნეცოვის სურათს „დარიალის ხეობას“ მაჩვენებს, რომელიც დიდი პოეტის სამუშაო კაბინეტში ეკიდა. ბოლო დარბაზში საზღვარგარეთის თითქმის ყველა ენაზე და საბჭოთა კავშირის ხალხთა 70 ენაზე გამოცემული პოეტის წიგნებია. ზედა თაროზე უმალვე ვამჩნევ ორი ქართული წიგნის სათაურს: „ა. ს. პუშკინი“ და „ა. ს. პუშკინი. „ევგენი ონეგინი“.

გამომშვიდობებისას ქალბატონმა ლიამ მითხრა: — მოხარული ვიქნები, თუ თბილისიდან ჩამოსული ქართველები ხშირად მოვლენ ხოლმე მუზეუმში, სიამოვნებით ვესაუბრები.

მუზეუმის შენობიდან გამოვდივარ, ქუჩას მივუყვები და ვფიქრობ: რა კარგია, გიყვარდეს შენი საქმე, მოსკოვის სახელმწიფო ა. ს. პუშკინის მუზეუმში მოაწყო ქართული საღამოები და ქართული კულტურა გააცნო რუს ადამიანებს. იმუშაო ფონდებში და ეძებო ექსპონატები, რომლებიც საქართველოს ეხება...

ნანი ჩიქვილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოგონებები დარჩა



ვერა ფხალაძე

ბორჯომში, სტალინის ქუჩაზე, კულტურის სახლის წინ დიდძალ ხალხს მოეყარა თავი. დარბაზი მაყურებლით გაივსო. ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ მსახიობის ნიჭის თაყვანისმცემლები.

ვინმემ რომ მკითხოს ვერა ფხალაძე საც ცხოვრობსო, პასუხისათვის დიდხანს არ დავფიქრდები, ვიტყვი, სცენაზე-მეთქი. ტრიბუნიდან ისმოდა ნათელა ვეშაპელისა და სხვათა სიტყვები და ეს სიმი იყო, მაყურებელსა და ჭეშმარიტ მსახიობს შორის გაბმული, ოცი წლის წინათ გამართულ ვერა ფხალაძის შემოქმედებითს საღამოზე.

თეატრის სიყვარული მან ადრე შეიგრძნო. ათი წლისა იყო, უშანგი ჩხეიძე პირველად რომ იხილა. ღამეებს თეთრად ათენებდა, ვერ ისვენებდა. თანატოლები შეკრიბა და სახლის აივანზე ბავშვური „სპექტაკლები" გამართა, მაყურებლად მეზობლები მოიწვია.

აგონდება: ერთხელ, „სცენაზე" ანთებული ფარანი შეიტანა. მოულოდნელად ფეხი რაღაცას წამოჰკრა, დაეცა, გატყდა ფარნის მინა, ნავთი იატაკზე დაიღვარა, შეეშინდა და ატირდა ბავშვი. სასწავლებელში მცირე ფორმის პიესებს დგამდნენ და ისიც სასკოლო წარმოდგენების უცვლელი მონაწილე გახდა.

ვერა ფხალაძის სასცენო მოღვაწეობა ჭიათურაში დაიწყო. ჭიათურის სატირის თეატრს გ. ნუცუბიძე ხელმძღვანელობდა. 30-იან წლებში ამ თეატრს დიდი წარმატება ჰქონდა და, როგორც მსახიობი, ვერა ფხალაძეც სწორედ აქ მომწიფდა.

შემდეგ მუშათა თეატრში (სამხატვრო ხელმძღვანელი პ. ფრანგიშვილი) გადაინაცვლა. სცენის დიდოსტატებთან თამაში მისთვის სწორუპოვარი სკოლა იყო. ესენი იყვნენ: ალექსანდრე იმედაშვილი, იუზა ზარდალიშვილი, სერგო ზაქარიაძე, მიხეილ ჩუბინიძე, გრიგოლ ტყაბლაძე, მიხეილ ვაშაძე.

საოცარი ნებისყოფით, მონდომებით მუშაობდა. თავის სცენურ გმირებზე ბევრს ფიქრობდა. როლის სრულყოფისათვის ახალ შტრიხებს ეძიებდა და ისე წარსდგებოდა მაყურებლის წინაშე. მან შეასრულა მაროს (ს. კლდიაშვილის პიესა „გმირთა თაობა"), გლეხის გოგოს (ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ველარ ნახავ"), (კაროჟნას — დ. კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურები") როლები.

1939 წლიდან ვერა ფხალაძე ბორჯომის დრამატულ თეატრში გადადის. აქ მან მეტად კოლორიტული სახეები შექმნა: თამარი („პატარა კახი"), ხაზუა („ხევისბერი გოჩა"), მელანო („ბაში აჩუკი").

სცენაზე გამოჩენის უმალ ქალბატონი ვერა ნამდვილ შემოქმედებითს ცეცხლს ანთებდა. კარგი იყო „ხანუმაში" მისი ხანუმა, ა. დევიძის „მეუღლეებში" — ვასასი. „კვალითელ დალაქში" ზეფორეს დიდებული სახის გამოძერწისათვის კი მაყურებელმა მას ზედმეტ სახელად „ზეფორე" შეარქვა.

1948 წელს ბორჯომის სახელმწიფო თეატრი დაიხურა. მაგრამ თეატრალური ცხოვრება არ შეწყვეტილა. სარაიონო კულტურის სახლის ძალებით მძლავრი თეატრალური კოლექტივი შეიქმნა. ვერა ამ ბირთვის მთავარი ძალა გახდა. იდგმებოდა ლავრენიევის „რღვევა", ი. მოსაშვილის „სადგურის უფროსი", გ. ქელბაქიანის „განა ეს სიყვარულია?". ვერა აგრეთვე მონაწილეობდა სკეტჩებში, მინიატურებში, მუსიკალურ ფელეტონებში.

გალაკტიონი 1955 წლის ივლისში, მესხეთ-ჯავახეთში მოგზაურობისას ბორჯომში იყო, ნახა თეატრის დადგმა. ვერას თამაშიც მოეწონა. მის ჩანაწერებში ვკითხულობთ: „ბორჯომის კულტსახლში ვზივარ. აქ მუშაობს ფხალაძის ქალი ჭიათურიდან. ვატყობ დიდი სიფრთხილეა საჭირო... განცვიფრებული ვარ".

ხელოვნების სამმართველოს უფროსი პავლე კანდელაკი დაესწრო დ. თაქთაქიშვილის „კვალითელ დალაქს". კმაყოფილი დარჩა ვერა ფხალაძის ზეფორეთი. — დამიპყრო სპექტაკლმა, ფხალაძის გასაოცარმა თამაშმაო, — ასე შეაფასა მან მსახიობი.

ვერა თითქოსდა სახასიათო როლებისათვის იყო დაბადებული, მაგრამ ოსტატურად ქმნიდა დრამატულ სახეებსაც. გრ. ლალიძემ შილერის „ვერაგობა და სიყვარული" დადგა. საბრალო ლუიზას დედის — ფრაუ მილერის რთულ როლს ვერა დიდი მგზნებარებით ასრულებდა.

1960 წელს თბილისში სახალხო თეატრების რესპუბლიკური დათვალიერება მოეწყო. ამ დათვალიერებაზე ბორჯომის სახალხო თეატრი პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერით" წარსდგა.

ეს სახალხო თეატრის დიდი გამოცდა იყო, მაგრამ თავი ისახელა ნიჭიერმა კოლექტივმა, დედაქალაქის მომთხოვნი მაყურებელი სპექტაკლით მოიხიბლა. კარგი შეფასება მისცეს ბ. ხუციშვილის ყვარყვარეს, გ. იოსებაშვილის კაკუტას, ვერა ფხალაძის ლირსას. ჟიურიმ ისინი პირველი ხარისხის დიპლომებით დააჯილდოვა.

ვერა ფხალაძის შემოქმედებითი ბიოგრაფია თანდათან მდიდრდებოდა ახალი საინტერესო სახეებით. 1965 წლიდან ბორჯომის სახალხო თეატრს რეჟისორი გ. ხმალაძე ჩაუდგა სათავეში. სახალხო თეატრის სცენაზე ვერამ ქართული დრამატურგიის კლასიკოსთა და თანამედროვე ავტორთა 50-ზე მეტი როლი განასახიერა. ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავეში" სალიხეს მეტად რთული და შთამბეჭდავი სახე მან სრულყოფილად დახატა. ამ როლის უბადლო შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



„ხანუმა" — ხანუმა

„ვინ არის დამნაშავე" — სალიხე



სრულებლეში დები მილია და ცეცილია წუწუნაშვილები იყვნენ, მაგრამ მადლიერმა მაყურებელმა სალიხეს დიდებული შემსრულებელი ვერა ფხალაძე მათ გვერდით ამოუყენა. მსახიობური ნიჭის მრავალფეროვნებაა მიზეზი, რომ ვერა ერთნაირი სიძლიერით ქმნიდა როგორც კომიკურ, ისე დრამატულ სახეებსაც.

წლები მიდიოდა, მაგრამ ვერა ჩვეული გატაცებით მოღვაწეობდა, მგზნებარება, სცენური ცხოვრება ოდნავადაც არ გაუფერმკრთალდა. ბევრჯერ წარსდგა თბილისელი მაყურებლის წინაშე თვითმოქმედი თეატრების დათვალიერებაზე. მას ფესტივალის ლაურეატის წოდება მიენიჭა, მრავლად მიიღო პირველი ხარისხის დიპლომები, სიგელები, ჯილდოები.

თ. ფერაძის პიესა „ჩაუქრობელი ვარსკვლავი" ჰეროიკულ-რომანტიკული სპექტაკლია, რომელიც ბორჯომელ ერონის ინაურის სამშობლოსათვის გმირულ თავდადებას მიეძღვნა. საინტერესო ჩანაფიქრით ვერა ფხალაძემ დიდი დრამატიზმით შეასრულა ერონისის დედის როლი. სამამულო ომში მიმავალ შვილს დედა ილიას სიტყვებით ისტუმრებდა: — ჩვენს გვარში მხდალი და ლაჩარი არავინ ყოფილა და თუ შენ გინდა სიბერის დღენი არ ჩამიმწარო, სირცხვილს ნუ აჭმევ დედაშენის ჭაღარასო და გარინდებული დარბაზი უსმენდა პატრიოტი ქალის დარიგებას, ერონის ინაურის დედის ძახილს. ამ სპექტაკლის მაყურებლები ძირითადად დედები იყვნენ, სამამულო ომში გაგზავნილ შვილთა დედები, რომლებიც ტაშს უკრავდნენ საყვარელ მსახიობს და ეს იყო ვერასათვის დიდი ბედნიერება.

...მდუმარედ ზის შავით მოსილი ქალი. ნაოჭებშეპარულ სახეზე ათრთოლებულ ხელს ისვამს. მაგიდა დაფარულია ჯილდოებით, საპატიო სიგელებით, დიპლომებით, მადლობებით, წერილებით, ვერა ფხალაძის ქებისა და ამაღლების უტყუარი საბუთებით...

თვალი ენამება. ორ სურათს მაწვდის — ვაჟიშვილისა და შვილიშვილისას. ნიჭიერი მუსიკოსი, ფოთის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორი თემურ ჩუბინიძე რამდენიმე წლის წინათ ავტოკატასტროფაში დაიღუპა, შემდეგ კი შვილიშვილიც — დავითიც დაკარგეს. მსახიობად დაბადებულმა ქალმა სულიერ დიდ განცდას ვერ გაუძლო და სანუკვარი თეატრის კარი მისთვის სამუდამოდ გამოიკეტა.

ახლა მას მხოლოდ მოგონებები დარჩა — სიცოცხლის დარი საგანძური. და მისი სავალი გზა ფოთისკენ მიდის — რძალთან — მუსიკალური სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგე ციალა ჩუბინიძესთან და შვილიშვილ ნინოსთან. იქ ხომ თავისი შვილისა და შვილიშვილის აჩრდილი დადის!

მადლიერი მაყურებელი კი დღესაც არ ივიწყებს ვერა ფხალაძის მიერ სცენაზე შექმნილ დიდებულ სახეებს.

ეთერ ჯაფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საკუთარი დრო

როგორც იქნა, გათენდა დილა. ქალმა საბნის კიდე გადასწია და მკლავი ამოიღო, მერე საწოლებს შუა მდგომ ტუმბოზე მოაფათურა თითები.თვითონაც არ იცოდა რას ეძებდა. ტუმბოზე იდო გადაშლილი „ცისკარი“ და ნამწვით სავსე საფერფლე. ქალმა წამოიწია და ცნობისმოყვარედ გადახედა მეორე საწოლს. მეუღლეს ისევ ეძინა. წელზევით საბანი მოეხადა და ღრმა სუნთქვისაგან წამოლიპული მუცელი ტიკივით ეჩუტებოდა და ებერებოდა.

— მთვრალი მოსულა ისევ! — გაიფიქრა ქალმა და ამოიოხრა. ოთახში მთვრალი კაცისთვის დამახასიათებელი მჟავე სუნი ტრიალებდა. ქალი უგრძნობლად გაყუჩდა საწოლში და ჭერს მიაშტერა თვალი. საშინელი სასოწარკვეთილების გრძნობა შემოაწვა მკერდზე. ეს დილა ალბათ ისევ დაიწყებოდა, როგორც სხვა დანარჩენი. მან თავი გაიქნია შემოჯარული ფიქრების გასაფანტავად, მერე კვლავ ფანჯარას გახედა და უცებ იისფერ სინათლეში უცნაური არსება დაინახა, ყველაფრით ადამიანის მსგავსი, მაგრამ უსულო და უსხეულო. არსება მისი ფანჯრის წინ თრთოდა, ტრიალებდა და სუსტი, ბავშვური ხმით იძახდა: — მანანა,მანანა!..

ქალი წამოიწია, ხელი გაიწოდა და შეშფოთებულმა შეარხია ფარდები. მოჩვენება გაქრა, მაგრამ ძახილი არ შეწყვეტილა: — მანანა!..

ქალი წამოდგა და სწრაფად შემოიცვა დილის ხალათი. არ ჰქონდა ბევრი დრო, საუზმე უნდა მოემზადებინა და თავიც მოეწესრიგებინა, მერე ალბათ რეზოც გაიღვიძებდა და მისი სადილაო საყვედურებისთვისაც უნდა გაეძლო.

ქალმა ჯერ ბავშვების ოთახს მიაშურა. შვილებს ისევ ეძინათ. უფროს ვაჟს თავი უხერხულად გადაედო გვერდზე. მანანას შეეცოდა ბავშვი, უთუოდ კისერატკივებული გაიღვიძებდა. მან ვაჟიშვილს ფრთხილად გაუსწორა ბალიში. ბიჭი შეიშმუშნა, მაგრამ არ გაუღვიძნია, ფეხი გამართა და მწოლიარემ ზუსტად ისეთი პოზა მიიღო, როგორც მის მამას ეძინა. ქალს რატომღაც არ ესიამოვნა, მუხლი მოუღუნა ბიჭს და საბანი წააფარა ნიკაპამდე, მერე გოგონას მიუბრუნდა, ეკას ნერწყვი მოსდგომოდა ტუჩებზე და ბალიში დაესველებინა. დედა დაიხარა და ფრთხილად მოსწმინდა ბაგე გოგონას. გოგონამ უცებ გააჭყიტა თვალი, მაგრამ დედის დანახვაზე დამშვიდდა, გაიღიმა და ისევ ძილს მისცა თავი.

მანანას აქ აღარაფერი ესაქმებოდა. ოთახი დატოვა და ახლა სამზარეულოს მიაშურა. სწრაფად აანთო გაზქურა, ქეთლი წყლით აავსო და შემოდგა. მერე პატარა სკამი გამოაცურა და ჩამოჯდა. გუნებზე ვერ იყო, საოცრად დამძიმებოდა გული, შუბლი სტკიოდა. საფეთქლების დაზელა დაიწყო. ისრესდა და თან ფანჯარას არ აშორებდა თვალს.

გადასასვლელის იქით, მეორე მხარეს, მაღაზიასთან, რძის პროდუქტებს იღებდნენ ქალები. მანანა თვითონაც ყოველ დილით მირბოდა არაჟანისა და რძის ასაღებად, მაგრამ ახლა სურვილი არ ჰქონდა გარეთ გასვლისა. არაფერი არ სტკიოდა, არაფერი არ აწუხებდა, მაგრამ საოცრად მშვიდი და ცარიელი სული ჰქონდა. სხვა დროს დილიდანვე ადგენდა მთელი დღის გეგმას. ახლა ამაზე ფიქრიც არ უნდოდა. ვიღაც უხილავი, გულგრილი არსება ჩასახლებულიყო მის სხეულში და უჩვეულო სიმშვიდით უწამლავდა გულს.

წყლის შიშინის ხმამ გამოაფხიზლა ქალი. საფეთქლების სრესა მიატოვა. აღარც სტკიოდა. ახლა მთლიანად ერთ გაყინულ ზოდად, უგრძნობ არსებად ჩამოთლილიყო მისი სხეული და მშვიდად იწყებდა დღიური არსებობისათვის მზადებას.

ქალმა გაზი გამორთო და ქეთლმაც თანდათან შეწყვიტა შიშინი. მერე ფრთხილად გამოალაგა ჩაის ჭურჭელი. წინა დღის ნაყენს გამოცვლა უნდოდა, მაგრამ გულგრილად ჩამოდგა მაგიდაზე. მაცივარში შელაგებული კარაქი და ყველიც გამოიღო. არც დაუთლია, ესევე მთლიანად დატოვა თეფშზე. იფიქრა, საუზმე უკვე გამზადებული მაქვსო და ახლა აბაზანისკენ გაემურა. კარი ჭრიალებდა და სხვა დროს ფრთხილად აღებდა ხოლმე, მაგრამ



მხატვარი დ. ზარაფიშვილი

ახლა ხმაურით გამოსწია საკეტი და ხმაურითვე ჩაკეტა. სარკის წინ ჩამწკრივებულ პარფიუმერიას ცალი თვალით გადახედა. სარკის ზემოთ, თაროზე სურნელოვანი საპნების კოლექცია ელაგა. მის ვაჟს პირამიდასავით აეკოკოლავებინა. ქალი უწინ ერთ ცალსაც არ აიღებდა მის დაუკითხავად, მაგრამ ახლა ის ჩამოიღო, რომელიც ყველაზე მეტად მოსწონდა. მერე ონკანი მოუშვა და ხელები აიქაფა. სიამოვნებით დაყნოსა ქაფი. მისმა სურნელმა აყვავებული იასამნების ველი მოაგონა. ბავშვობისას იმ ველზე ხშირად დარბოდა მარტოდმარტო და წიგნებში წაკითხულ გმირებს ბაძავდა. განსაკუთრებით პრინცესების როლი უყვარდა. დეიდის გრძელ, ფართო თავშალს მხრებზე მოიგდებდა ხოლმე და ისე დააფრიალებდა იასამნის ბუჩქებს შორის. თავისივე მოგონილ მონოლოგებს კითხულობდა „სცენაზე“, გონებაში თხზავდა პიესებს. სცენად იასამნის ხეივანი ჰქონდა და მართლაც ჩინებული მსახიობი დადგებოდა, რომ არ გამოჩენილიყო პრინცი, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტი, რომელმაც პირველი კურსიდანვე გაიტაცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქორწინო მოგზაურობაში და დააკარგვინა ჩრდილდაკარგული ხელმწიფის ასულის პირველი როლი.

ახლა ეს პრინცი ახლად დანიშნული თანამდებობის პირი, საზოგადოებაში უკვე ცნობილი გვამი ნაბახუსევი იყო. ფუმფუმა ქვეშაგებში თავზე თმაშემოცლილი არხეინად ხვრინავდა...

მანანამ ორივე ხელი ერთმანეთს შეატყუპა, სიცარიელე დატოვა და საპნის აპკს სული შეუბერა. აპკი გაიბერა, გაიბერა და ვეებერთელა ბუშტად იქცა. მერე ხელისგულებს დაეკიდა და ქანაობა დაიწყო.

კარზე ბრახუნი ატყდა. შეშინებულმა ქალმა უცებ შეწყვიტა თამაში. ბუშტი გასკდა და საპნიანი ხელებით გააღო კარი. მის წინ დასიებული, თვალებშეშუპებული რეზო იდგა.

— სამწუხაროდ, ტუალეტი და აბაზანა ერთად არის მოთავსებული. ვთქვათ და, ერთმანეთს გავეყაროთ, შენ რომელს აირჩევდი?

ღვარძლიანად, იქედნურად იცინოდა კაცი და თან ტრუსის რეზინას აწვალებდა. მანანას შეეშინდა, თავი დალუნა და გვერდის ავლა სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა, მეუღლემ ფეხი დაუდო.

— რამდენი ხანია არ მინახიხარ აბაზანაში ასეთი შიშველი, — ქმრის დამამცირებელი კილო ვერ აიტანა ქალმა. ინსტიქტურად იტაცა მკერდზე ხელი.

— ორი შვილის შემდეგ კდემამოსილება ქალს, და ისიც ცოლს, არ კი შვენის, ხატავს, — კაცმა უტიფრად მოუსვა ხელი მკერდზე.

მანანას კივილი მოუნდა. როგორც არასდროს, ახლა ისე სძულდა ეს თავდაჯერებული, უხეში კაცი. მას აღარ ახსოვდა როდის შეუღლდნენ საკუთარი და უნაზესი ნებით. უკვე წლები გადიოდა, მათი ურთიერთობა კი სულ უფრო დაძაბული და ნაძალადევი ხდებოდა. რამ მოიტანა, ვინ მოიტანა მათ ოჯახში ეს ცარიელი და უსაგნო სამყარო, ამას ველარ არკვევდა ქალი. ფულის გაჩენას ოჯახისათვის გაამაყება მოჰყვა, სიამაყემ კი თანდათან ქედმაღლობაში გადაინაცვლა და მალე უხეშობაში გადაიზარდა. ფული გაბატონდა სიყვარულზეც და მყუდროებაზეც. მანვე მოიტანა თანამდებობა და უსასრულო ძმაკაცების წრე, რომლებიც ყოველ დილით მანქანის საყვირებს ახმაურებდნენ მათს ფანჯრებთან. მაგრამ იმ დღეს კვირა იყო და კაკაფონია ისე ადრე არ დაიწყებოდა.

სიძულვილი თანდათან სიანჩხლემ შეცვალა.

რეზომ სახეზე წყალი შეისხა. თავიც დაისველა და ფრუტუნით გააქნ-გამოაქნია აქეთ-იქით, — ბევრი დავლიეთ წუხელ, სტუმრები ჩამოგვივიდნენ რაიონიდან. მომბეზრდა ამდენი სმა, მაგრამ უამისობაც არ შეიძლება. ერთი კარგი საქმე გაიჩარხა... კოსტუმის ჯიბეშია ფული, ამოიღე, ბაზარშიც გაიარე და ბავშვებისთვის რაც გინდა ის იყიდე...

მაგრამ მანანა აღარ უსმენდა ქმარს. ბავშვების ოთახისკენ გადადგა ნაბიჯი და კუთხეში მიდგმულ სავარძელში ჩაემხო.

ძალიან შორიდან გაურკვეველი ხმები ისმოდა, მერე ეს ხმები ზუზუნში გადაიზარდა და ქალის თვალწინ კვლავ ის უჩინარი, უფორმო ადამიანის მსგავსი არსება აფარფატდა.

— მანანა, მანანა! — მოისმა საიდანღაც მავედრებელი, სუსტი, ბავშვური ხმა.

ქალს უნუგეშოდ ჩამოუგორდა ცრემლები. ბავშვების ოთახი ათასგვარი ხმებით და ძახილით ივსებოდა, ყოველი მათგანი მის სახელს იძახდა.

პირველი როლი უკვე დიდიხანია დაკარგული ჰქონდა, მისი აღდგენა აღარ შეიძლებოდა. მომდევნოები კი მეტად რთული გამოდგა შესასრულებლად. არაფრით არ უნდოდა მოვალეობად ექცია ისინი. ის სიყვარულისთვის, სინაზისთვის, ალერსისათვის იყო დაბადებული და საკუთარი ნებით უნდა ეხადა ხარკი ცხოვრებისათვის. მოვალეობა არა, იძულება არა..

მანანა ისევ აივსო იმ გულგრილი, უჩინარი, სულისმომწამვლელი არსებით, გაორდა, გამოიფიტა, შუაზე გაიხლიჩა მისი მკერდი და ცივმა სისველემ გამოჟონა იქიდან. ტირილი არ უნდოდა. არაფრით არ უნდოდა ტირილი. მას ხომ არაფერი არ სტკიოდა, სრულებით არაფერი, ჯანმრთელი დიაცი გახლდათ, შთამომავალთა შესაქმნელად დაბადებული, ძლიერთა სქესის დასათრგუნავად გაჩენილი, მაგრამ არ იცოდა საკუთარი უმწეობის გამოყენება; ყველაფერი ჰქონდა, ყველაფერი ცხოვრების გარდა.

კვირა დღე ილვიძებდა და ნოხები უნდა გაემზეურებინა, ჭურჭელი უნდა დაეწმინდა, ბაზარში გაქცეულიყო, სადილი მოემზადებინა, სტუმრები დაეპურებინა, ბავშვები დაეკმაყოფილებინა. ზოოპარკი, კარუსელი, კაფე „ბურატინო", მკერავთან ქურქისთვის გამზადებული ბეწვის ნაჭრების ამორჩევა ელოდა წინ, მერე ისევ ოჯახი, ვახშამი, ტკბილი ჩაი, ცივი ლოგინი და ჟურნალი „ცისკარი" ან „ინოსტრანკა", სადაც ჰოლივუდის ამომავალი და ჩამავალი ვარსკვლავების ცხოვრება იყო მოთხრობილი...

ბავშვებს ისევ ეძინათ. თანდათან შეწყდა ძახილიც, მხოლოდ სამზარეულოდან ისმოდა კოვზის წკარუნი და ტუჩების წკლაპუნი, მერე ჯავრიანი ხმაც გამოერია:

— რა მჭირს, აობებული ყველით რომ მიმასპინძლდები, გაკლია რამე? გეთქვა, სულგუნს გამოვაგზავნინებდი გუშინ.

მანანა უცებ შეკრთა, მოაგონდა, რომ უფროს ვაჟსაც ძალიან უყვარდა სულგუნი. ინსტიქტურად წამოდგა და ქმრისკენ გაეშურა.

— ჰო, გიამაც მთხოვა....

რეზომ უკმაყოფილოდ გამოხედა ჩაის ჭიქის ზემოდან.

— მერე, გეთქვა.. მაწონი მაინც რატომ არ ამოიტანე. დავაყოლებდი, აღარც ბორჯომია.

მანანამ გულგრილად აიჩეჩა მხრები.

— არ ვიცი...

— რაო? — კაცს ტუჩებთან შეაცივდა მიტანილი ჭიქა. — შენ რაღაც სხვანაირად იქცევი დღეს, ხომ არაფერი გტკივა.

— არა, — წყნარად ჩაიჩურჩულა ქალმა, — არაფერი, ნეტავ მტკიოდეს...

კაცი გაკვირვებით შეჰყურებდა ცოლს. უწინ არასოდეს ენახა ის ასეთი უხალისო და მოწყენილი. ჩაფიქრებით დადგა ჭიქა ლამბაქზე.

— იქნებ გაკლია რამე?

— არა, —ისევ ჩაიჩურჩულა ქალმა, — არაფერი. ნეტავ მაკლდეს.

— სისულელეა, — გაგულისებით დაარტყა მაგიდაზე ხელი კაცმა, — გეყო ფოკუსები... დაივიწყე, რომ ოდესღაც თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი იყავი, პრინცესა...

— არა, — ნაღვლიანად გაეღიმა მანანას, — ჩრდილდაკარგული ხელმწიფის ასული. — კაცს მთლად მოეშალა ნერვები.

— გეყოფა-მეთქი, გაიგე? შენი სილამაზე კუჭს ვერ გამიძღობს, დღეს სტუმრები გვეყოლება.

ქალმა გულგრილად გაიხედა ფანჯარაში.

— მძულხართ შენც და შენი სტუმრებიც...

ოთახში რაღაც გახმაურდა. თითქოს სკამი გადავარდა, მაგრამ კაცს მაღლა ეჭირა ოთხად გაშლილი ხელი და აპირებდა გარტყმას.

ქალმა ზიზღით აქცია ზურგი... გარეთ კოშკურის საათმა დარეკა. მთელ ქუჩას მოეფინა ნაცნობი, სასიამოვნო მელოდია. უკვე ცხრა ხდებოდა. ქმარი სამზარეულოში აღარ იყო, აბაზანაში კბილებს იხეხავდა.

მანანა დაიხარა და კარადიდან ჩანთა გამოათრია. მერე ოთახში შევიდა, კოსტიუმის ჯიბიდან ფულის შეკვრა ამოიღო და საფულეში გულგრილად ჩააგდო. გრძნობდა, რომ ქმარი უთვალთვალებდა. მან სწრაფად გადაიცვა კაბა, სარკეში არც ჩაუხედია. იქ რაღა იყო დასანახავი. თავბრუ ეხვეოდა დ სხეული ეყინებოდა. არ უნდოდა ბაზარში წასვლა, მაგრამ უკვე ჩადიოდა კიბეზე.

— მტკიოდეს მაინც რამე! — შეწუხებით წამოიძახა ქალმა, — მაწუხებდეს მაინც რამე!.. რა ეშმაკი შემიჯდა ამ დილას, რა დამემართა! — მილაპარაკობდა და თან სუფთა ჰაერს იყნოსავდა. ჰაერი არ იყო იასამნის სურნელით მთვრალი, დილიდანვე ბენზინის სუნით გაჟღენთილიყო.

— „დღეს რატომღაც ყველაზე უფრო მეტად საკუთარი თავი გვებრალება",.. — ამოუტივტივდა ქალს ნაცნობი „ჩრდილდაკარგული ხელმწიფის ასულის" სტრიქონები. მერე მთელი მონოლოგი გაიხსენა, რომელიც ასე ბოლოვდებოდა:

„ისევ და ისევ გვენატრება საკუთარი თავი, საკუთარი სული, საკუთარი დრო, საკუთარი საუკუნე, საკუთარი დღეები"...

...ის დღეც სწორედ მისი საკუთარი დღე გახლდათ.

ი. ტალიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დედის ბარათები

(ვეტერანის მოგონება)

ფრონტელთა მეგობრობას ვერავითარი მეგობრობა ვერ შეედრება. 1940 წლის მარტიდან სამხედრო სამსახურს გავდიოდი ლატვიაში. აქ დავუახლოვდი წალენჯიხელ იონა კვარაცხელიას, იგი სოფელ ჯგალიდან იყო.

1940 წლის დეკემბრიდან მე და იონა კვარაცხელია ვმსახურობდით 23-ე სატანკო დივიზიის ცალკეულ ქვედანაყოფში. ჩვენ მოვალეობას წარმოადგენდა ტანკების მომარაგება საბრძოლო ჭურვით. ომის დაწყებამდე, ოთხი დღით ადრე, 23-ე სატანკო დივიზია ლატვიიდან ლიტვაში გადავიდა და საზღვართან ახლოს განლაგდა, შაულიაისა და ტერშლიაის მახლობლად.

დაიწყო ომი. პირველი საბრძოლო ნათლობა ტერშლიაის მახლობლად მივიღეთ. მტრის საავიაციო ბარბაროსული თავდასხმის შედეგად ბევრი დაიღუპა, მათ შორის ჩვენი ნაწილის ზემდეგი, რომლის მოვალეობის შესრულება ი. კვარაცხელიას დაეკისრა. მისმა საზრიანობამ, გამბედაობამ ორი მანქანა საბრძოლო მასალა (ჭურვი) გადაარჩინა მტრის ნახევრად ალყისაგან.

ომის პირველ დღეებში დამამახსოვრებელი იყო ქ. რიგაში გამართული ბრძოლა. ეს მოხდა 27 ივნისს, ფაშისტები ბომბავდნენ რიგის ხიდს მდინარე დაუგავაზე. ამ ხიდით უკან ვიხევდით. ამ მომენტში ლატვიის კონტრრევოლუციონერმა ბანდებმა ცენტრალური ქუჩის სახლებიდან სროლა დაგვიწყეს. გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელშიც ჩვენი ტანკებიც ჩაება. ცეცხლი დაახლოებით 3-4 საათი გაგრძელდა. იონა კვარაცხელიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ყველაზე ადრე შეამჩნია სხვენზე შენიღბული დაზგის ტყვიამფრქვევი, ჩვენ ნაწილებს გამანადგურებელი ცეცხლით რომ უმასპინძლდებოდა. ი. კვარაცხელიამ ხელყუმბარით ჩააჩუმა მტრის ცეცხლი.

ერთად მოგვიხდა ლენინგრადის მისადგომებთან ბრძოლა. ი. კვარაცხელია ნაწილის ზემდეგი იყო, მე კი „ზამპოლიტი“ და ნაწილის კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი. უფრო ხშირად მოწინავე სანგრებში ვიყავით (ომი რომ არ დაწყებულიყო სამ თვეში დემობილიზაცია გვიწევდა).

1941 წლის შემოდგომის ერთ დღეს სანგრებში ვისხედით, იონამ სინანულით მითხრა: — რა აწყობილი ცხოვრება გვქონდა, როგორ მინდოდა პედინსტიტუტის დამთავრება, სოფლად მასწავლებლობა, კარგი ოჯახის შექმნა. ცუდი სახლ-კარი არა მაქვს. ამ საუბრისას წითელარმიელმა იონას წერილი მოურბენინა. ეს იყო პირველი წერილი საქართველოდან. მშობლები, კერძოდ, მგონი დედა იწერებოდა, როგორი სიხარული გამოიწვია იონას წერილმა, არა მარტო მათ ოჯახში, არამედ მთელ მახლობლებში. დედა სწერდა, თუ როგორ ეშინია მოწყენილი ფოსტალიონის დანახვა ჭიშკართან... თითქოს მაშინ გაგვახსენდა, რომ ჩვენი თავი მარტო ჩვენ არ გვეკუთვნოდა, იგი ყველაზე მეტად დედის კუთვნილება იყო. თვალცრემლიანი შევყურებდით ერთმანეთს. ჩვენ ხომ ერთად ვკითხულობდით დედის წერილს. აი, ჩემი რიგიც მოვიდა. მეც მივიღე დედის წერილი, დედა მწერდა: დია, ამდენხანს ფინეთის კომპანია იყო, ახლა ამბობენ დიდი სამამულო ომიაო. მართალია, ვაჟკაცების საქმეა სამშობლოს დაცვა, მაგრამ ბიჭო, იცი, რამდენმა დედამ ჩაიცვა შავი! ოხ! როგორ მეშინია ამის... მე კი, ვახუშტის ქუჩისა და ბრძოლის ქუჩის კუთხეში ვდგევარ და გავყურებ ბრძოლის ქუჩაზე მიმავალ წითელარმიელთა რიგებს და იქ შენ დაგეძებ ბიჭო! შენ ხომ, რუსს გევხარ ჩემო კაკი“

1942 წლის სექტემბერში ორივემ დავამთავრეთ უმცროს ლეიტენანტთა კურსები. დადგა ჟამი ჩვენი დაცილებისა. ეს იყო 1942 წლის ნოემბრის ერთი დღე. ერთმანეთს გადახვეულნი ორივე ვიცრემლებოდით და იონას მიერ ტკბილი ხმით წამოწყებულ მეგრულ „ოუ-ნანას“ მეც ვაყოლებდი ხმას. რუსი მეგობრები, ამ სურათით მონუსხულნი, გაფითრებულნი შემოგვცქეროდნენ... დავცილდით ღვიძლი ძმებივით ერთმანეთს. მე მეორე დამკვრელ არმიაში დავრჩი, რომელიც ლენინგრადის ბლოკადის გარღვევისათვის ემზადებოდა, ხოლო ი. კვარაცხელია — 52-ე არმიაში გადავიდა.

1943 წლის 14 თებერვალს მძიმედ დავიჭერი. პირველად მომათავსეს ქ. ვოლხოვის ჰოსპიტალში. თებერვლის ერთ დღეს, როდესაც საოპერაციო მაგიდაზე ვიწექი ქირურგი ჭურვის ნამსხვრევებს მაცლიდა, ტკივილებით შეწუხებულს უცბად ნაცნობი ხმა შემომესმა. ხმა მეზობელი საოპერაციო მაგიდიდან მოდიოდა. იქაც დაჭრილ მეომარს ოპერაციას უკეთებდნენ. უცბად შევყვირე:

— Гордиенко, это ты?

მე, ი. კვარაცხელიამ და გორდიენკომ ერთად განვლეთ ბრძოლის გზა და ერთად დავამთავრეთ უმცროსი ლეიტენანტის კურსები. სიხარულისაგან ტკივილები მიმავიწყდა... ეს ამხანაგი, ხომ ი. კვარაცხელიასთან ერთად, ერთ ნაწილში იყო.

— Друг ты мой, как Кварацхелия?

— Я, я, мой грузин!

ვატყობ, ჩემს რუს მეგობარს პასუხი უმძიმს, შეჩერდა. მან კარგად იცოდა ჩემი და იონას დამოკიდებულება. ბოლოს მაინც მაუწყა, იონა კვარაცხელია ლენინგრადის ბლოკადის გარღვევისათვის ბრძოლაში დაიღუპაო. იგი თავისი ოცეულით მტრის სანგრებში შეჭრილა და ხელჩართულ ბრძოლაში ვაჟკაცურად დაცემულა. მის გულჯიბეში უპოვიათ დედის ბარათები...

დავმუნჯდი. რუს მეგობრისათვის ხმა არ გამიცია. ვფიქრობდი იონას მშობლებზე, და-ძმაზე! რა მიმეწერა... ვფიქრობდი, გამოჩნდა თუ არა იონას ეზოს ჭიშკართან დამწუხრებული ფოსტალიონი დედისათვის ავადმაუწყებელი ამბის ბარათით!..

1946 წ. სამხედრო უწყებაში ვმსახურობდი ქ. თბილისში. შემოდგომის ერთ დღეს ჩემი უმცროსი ძმა აღელვებული მოვიდა და მითხრა: — ჩვენთან სტუმრად არიან ი. კვარაცხელიას და და სიძე, გელოდებიანო... მაშინვე შინ გავიქეცი. ვფიქრობ, რა ვუთხრა, რით ვანუგეშო ისინი? შინ შესვლისთანავე იონას დამ მომმართა: აკაკი, მითხარი, სადაა ჩემი ძამიკო იონა? უცბად მოვიკრიფე მთელი ძალა, პირველად ჩემ სიცოცხლეში მომიხდა ტყუილის თქმა, რომელიც სადღაც გამართლებული იყო. იონას დას ვუთხარი, რომ მისი ძმა მძიმედ დაჭრილი ჰოსპიტალში ვნახე, მერე აღარ შევხვედრივარ-მეთქი. მსურდა, იონას მშობლებს, ახლობლებს იმედი ჰქონოდათ მისი დაბრუნებისა.

1966 წელს წალენჯიხის რაიონში ლექციების წასაკითხად მიმავლინეს. ვესტუმრე ჯგალს, იონას სოფელს. ჩავუარე მისი სახლის ეზოს, მაგრამ ვერ შევედი... თვალი მოვკარი მოხუცებს. ეზოში დადიოდნენ, ცრემლები მომადგა, მაგრამ მაინც ვერ გავბედე გამოცხადება. ვინ იცის იქნებ მშობლები ჯერაც ელოდენ შვილის დაბრუნებას...

**აკაკი ვაშაკიძე,**
**ლენინგრადის დამცველი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქარვა

17726

ჩვენში მზის ფერს ქარვის ფერს ადარებენ. შემოდგომასაც ქარვას ადარებენ: ქარვისფერია რქაწითელი, ქარვით ივსება ბროლის ჭიქები და ფოთოლცვენაც სავსეა ყვითელი ფერით. ქარვისფერით და მზისფერით. ქარვას უხსოვარი დროიდან იცნობს ადამიანი.

მოგეხსენებათ ზღვის ხასიათი, ხან მშვიდია მისი ტალღები, გამჭვირვალე და კამკამა, ხან — გაავდება, გულს ჩაიმუქებს, აღელდება და აბობოქრდება. ასე ყოფილა დასაბამიდან: აღელვებული ზღვა ხან ნაპირზე გადმოაგდებდა საუნჯეს ზღვისას, ხან იქით ითხოვდა მსხვერპლს და, ერთხელაც, ზღვისპირას, მეოცნებე კაცს ფეხებთან დაუვარდა გაავებული ტალღა, რომელმაც თან უცნაური ქვა მოიყოლია. მზისებრ ბრწყინავდა თურმე ის ქვა. თვალი მოსჭრა ქვის სილამაზემ ადამიანს, პირველყოფილსა და გულუბრყვილოს. მერე, როცა კი ზღვა ღელავდა, ყოველთვის მოდიოდა კაცი ნაპირთან და ელოდებოდა, იქნებ კვლავ განმეორდეს სასწაულიო. მერე ზღვის მოწყალებასაც არ დაუცადა და თავად დაიწყო ადამიანმა იმ ქვის ძებნა. და იბადებოდა ლეგენდები სასწაულებრივ ქვაზე, ქარვაზე, რომლის თვისებამ ხათუთად შემოინახა მასში მოხვედრილი მოლუსკების, მწერებისა და მცენარეთა ნარჩენები, — გახდა საფუძველი მრავალი მითის, მრავალი თქმულების შექმნისა.

დიახ, ღვთაებრივ ძალას აწერდნენ ამ ქვას: საიდუმლოებით მოცული ქვა არისო. ყოველგვარ დაავადებას კურნავს, სიხარულის მოტანაც შეუძლია და სიყვარულისაცო. და თუ სიყვარული მოგიტანა, უკვდავებასაც მოგიტანსო. ამიტომ იყო, ასე რომ გახშირდა ქარვის ხამკაულები; ქარვის ყელსაბამი ამშვენებდა ქალის მაღალსა და ლამაზ ყელს, საამოდ ირხეოდა ქარვის საყურე, ქარვის სამაჯური ამშვენებდა თეთრ მაჯას. მერე ჯვარცმასაც ქარვისაგან ამზადებდნენ. აღმოსავლეთში კი ღმერთის ფიგურებსაც ქარვის ფერი დაჰკრავდა. და მიდიოდნენ აღმოსავლელი ჯარისკაცები ომში თამამად, მკერდზე ეკიდათ ქარვის ავგაროზები. ძველ რუსეთში თავადთა ოჯახებში ძიძას ქარვის ასხმულას ჰკიდებდნენ ყელზე. ეს ასხმულა რამდენიმე გირვანქას იწონიდა. ფიქრობდნენ, რომ იმ ქარვის მძიმე ღობურა დაიფარავდა ჩვილს ავი თვალიდან. აბა, გაიხსენეთ ქართული აკვნების თავანზე ჩამოკიდებული ქარვის მძივებიც — ესეც ავი თვალის ასაშორებლად იყო.

რა არის ქარვა? საიდან წარმოიშვა ის? ამაზე დიდი ხანია ფიქრობდა ადამიანი რომაელი პოეტი ოვიდიუსი თავის პოემა „მეტამორფოზებში“ ასეთი შინაარსის მითს გადმოსცემს, მზის ღმერთის ჰელიოსის ვაჟზე — ფაეტონზე: ქარვა, ეს უდროოდ დაღუპული ფაეტონის სევგამწარებული დედისა და დების ცრემლებია... მერე ისინი ძეწნებად გადაიქცა. ჰოდა, დგანან ტოტებდახრილი ძეწნები მდინარის პირას მათი ცრემლის ღვარი მდინარეს უერთდება, ცივ ტალღებში ცრემლი ცივდება და გამჭვირვალე ქარვად იქცევა ხოლმე. რაც შეეხება ძველ სწავლულებსა და ფილოსოფოსებს, მათი აზრი ქარვის წარმოშობაზე, ასე თუ ისე, უახლოვდებოდა ჭეშმარიტებას. რას ამბობდნენ ისინი? ტაციტი ამბობდა, რომ ქარვა სხვა არაფერია, თუ არა ხის ფისი, რადგან ხშირად უნახავთ ქარვაში გაქვავებული ხმელეთის მწერნი, ფრთოსნები.

ბერძენი, ფინიკიელი და რომაელი ვაჭრები სისტემატურად ცურავდნენ ბალტიის ზღვის ნაპირებთან. აქ მრავლად იშოვებოდა ქარვა და ადგილობრივი მცხოვრებნიც უბრალოდ საწვავად იყენებდნენ. რომაელი ფილოსოფოსი პლინიუს უფროსი ამტკიცებდა, რომ ქარვა პირველად სითხე იყო. პლინიუსის აზრით, ქარვა განსაკუთრებული ჯიშის ნაძვის წვენია. თუ ქარვას მსუბუქად გავხეხავთ, ის ფიჭვის სუნს გამოსცემსო. ხოლო დაწვისას — ტკაცუნით იწვის როგორც ყველა წიწვიანი მცენარეო. რა თქმა უნდა, ამ აზრს ბევრი ფილოსოფოსი არ იზიარებდა. ზოგი ქარვის ცხოველურ წარმოშობას ამტკიცებდა, სხვანი თამამად აცხადებდნენ, რომ ქარვა „მზის ეთერია“. ზოგნი დაჟინებით იმეორებდნენ, რომ ქარვა ტყის დიდი ჭიანჭველის ცვილიაო. ფრანგების აზრით, ქარვა გარეული ფუტკრების თაფლისაგან წარმოიშვა. ერთი სიტყვით, ამ ქარვაზე მრავალი ფანტასტური ჰიპოთეზა არსებობდა, ზოგს ზღვის ქაფი ეგონა, მზის სხივების მოქმედებით გამაგრებული, ზოგს ნავთობად წარმოედგინა, ბევრი, თევზის ქონიაო, იჩემებდა... და მხოლოდ დიდმა რუსმა მოაზროვნემ, სწავლულმა და მკვლევარმა მ. ლომონოსოვმა თავის ნაშრომში — „მიწის ფენებში“ დაადგინა ქარვის წარმოშობის მართებული გზა. ლომონოსოვი ამბობდა, რომ ქარვა განსაკუთრებული ჯიშის ქარვისმატარებელ ფიჭვებზე მიმაგრებული ფისია. ეს ფიჭვი ჩრდილოეთის ზღვის ნაპირზე იზრდებოდა 35-40 მილიონი წლის წინათ, მაშინ ხმელეთისა და ზღვის განლაგებაც სხვაგვარი იყო.

როგორი იყო ქარვის ეს ქვეყანა? ამბობენ, რომ წლის საშუალო ტემპერატურა იქ 20 გრადუსს არ აღემატებოდა. მატერიკი მთლიანად მწვანეში იყო ჩაფლული. ხშირ ტყეებს დაეფარა მთის ქანები. მიწა არ ჩანდა ხავსში. მომრავლებული იყო უხვი და ნაირგულა სოკოც. და იზრდებოდა ფიჭვიც — ქარვის მქონე ფიჭვი, ეგზომ მგრძნობიარე: ამინდის ოდნავი ცვლილებაც კი აზიანებდა ფიჭვს, სკდებოდა ქერქი, დაიარებული ხეულიდან უზომოდ იღვრებოდა სითხე. იყო ზღვის ღელვა, ჭექა-ქუხილი, ემტვრეოდა ტოტები ფიჭვს და ნაიარევი ადგილებიდან გროვად ეკიდა დაღვრილი ფისი,



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

პლინიუს უფროსის დამოწმებით, ქარვის ერთი სამკაული, ან ქარვის ფიგურა ერთ მონაშიც კი იცვლებოდა. ეს იყო ვაჭრობა „ჩრდილოეთის ქვით“.

ეგვიპტელები და ეთიოპიელები ქარვას დასაბალზამებლად იყენებდნენ. ქარვის გამოჩენას ისტორიკოსები იმ დროს აწერენ, როცა სამხრეთ აღმოსავლეთის გზა გაიყვანეს შავ ზღვამდე.

ეტრუსკების სამარხებში, ჯერ კიდევ მეშვიდე საუკუნეში (ჩვენს ერამდე), მრავალი ქარვის მორთულობა იპოვეს. ლეიპისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დღესაც ინახება ქარვის სამკაულები, რომლებიც 1500-1400 წლებს (ჩვენს ერამდე) მიეკუთვნება.

ჯერ კიდევ მეექვსე საუკუნეში (ჩვენს ერამდე) ქარვით ვაჭრობდნენ ფრანგები, განსაკუთრებით აქტიურობდა ქალაქი მარსელი. არანაკლებ პოპულარული იყო ქარვა რომში. ტაციტი იგონებს, რომ რომაელები სპეციალურ ექსპედიციებს გზავნიდნენ ქარვის მოსაპოვებლად. ქარვა განსაკუთრებით ფასდებოდა ნერონის მეფობისას. ორმოცდაათიან წლებში (ჩვენს ერამდე) ის უკვე მთელს ევროპაში იყო ცნობილი. მაგრამ, ქარვის მხატვრული დამუშავების მწვერვალია ცნობილი ქარვის ოთახი, რომელიც ერთადერთი და განუმეორებელია იმათ შორის, რაც კაცობრიობას ოდესმე ქარვისაგან შეუქმნია. ქარვის ოთახი პრუსიის მეფემ ფრიდრიხ პირველმა საჩუქრად მიართვა რუსეთის მეფეს პეტრე პირველს. რომლის ჯარებმა გაუგონარი გმირობით დაამარცხეს ჯერ „დაუმარცხებელი“ შვედები. ეს პოლიტიკურ-დიპლომატიური საჩუქარი იყო, — საზღაური სახელმწიფოს აღმოსავლეთის საზღვრების უშიშროების გამტკიცებისათვის. ეს იყო საჩუქარი, დაფასება რუსი ჯარისკაცებისა, გენერლებისა და პეტრე პირველის სამხედრო გენიისა. დიდი სამამულო ომის დროს ფაშისტმა ოკუპანტებმა მთლიანად გაძარცვეს ეკატერინესეული სასახლე, მოიპარეს და გადამალეს ქარვის ოთახი...

საბჭოთა კავშირში დღეს ბევრი საწარმოა დასაქმებული ქარვის დამუშავებაზე. ლატვიის „მაკსლა“, ლიტვის „დაილე“, კალინინგრადის ქარვის კომბინატი, რომლებიც მსოფლიოს ქარვის ორ მესამედზე მეტს აწვდიან. განთქმულია საბჭოთა ქარვისაგან დამზადებული მძივი, სამაჯური, საყურე, გულქანდი...

აქ კი მზის ფერს ქარვის ფერს ადარებენ. ქარვისფერია ჩვენებური შემოდგომაც. ქარვისფერია რქაწითელი, ქარვით ივსება ბროლის ჭიქები და ილოცება ქარვის სამშობლო...

**ვახტანგ ბარათაშვილი**



## სხვადასხვა

### დარჩენიათ კი მათ სხვა გზა?

პორტუგალიის სოფელ ალგარზის მცხოვრები კორინა და პალმა ბრაზი მზად არის 25-ე შვილი გააჩინოს, მაგრამ ეს 38 წლის ქალი ბავშვის დაბადებამდე იძულებული გახდა ქმრისთვის სასამართლოში ეჩივლა. მისმა ქმარმა დღემდე თავისი 23 ბავშვი გაყიდა. სასოწარკვეთილი კაცი მიხვდა, რომ სილატაკეში არ შეიძლება ასეთი დიდი ოჯახის შენახვა და გადაწყვიტა... გაეყიდა თავისი შვილები. მან თავისთან მხოლოდ 16 წლის ბიჭი დაიტოვა, რომელთან ერთადაც კორინა და პალმა ბრაზი იძულებული იყო ემათხოვრა. ჯერ ისევ დედის მუცელში მყოფი ბავშვი უკვე მიყიდული ჰყავთ ლისაბონის ერთ ძია კაცისთვის.



### თამბაქოს წევა ჯანმრთელობისთვისაც საზიანოა და ეკონომიკისთვისაც

იქნებ ძნელი იყოს იმის გარკვევა, თუ რატომ მიელტვის ადამიანი თამბაქოს წევას, მაგრამ ის კი ცხადია, რომ მას ვნების მეტი არა მოაქვს რა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. გულსისხლძარღვთა დაავადების უფრო და უფრო გახშირება ამაზრზენ სურათს ქმნის. ფილტვის კიბოთი დაავადებულთა 90 პროცენტი პაპიროსის მწეველია.

ნიკოტინი მარტო თამბაქოს მწევლებს როდი ვნებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში დადგენილია, რომ თამბაქოს წარმოებისგან მიღებული გადასახადის თანხა 8 მილიარდ დოლარს შეადგენს, შრომის უნარის დაკლებით, ავადმყოფობითა და უდროო სიკვდილით დაზარალება კი 19 მილიარდი დოლარით გამოიხატება. დაახლოებით ასეთივეა შეფარდება გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში: 1 მილიარდი დოლარი — 2,4 მილიარდი დოლარი.

თამბაქოს ბევრი მწეველი აღიარებს ამ პრობლემის სიმწვავეს, მაგრამ მათ არ შეუძლიათ მოიშალონ მავნე ჩვევა. ლუქსემბურგში ჯანმრთელობის ლიგამ ჩამოაყალიბა ჯგუფური თერაპიის ხუთდღიანი კურსები იმათ დასახმარებლად, ვისაც სიგარეტის წევისთვის თავის დანებება უნდა. ამ ღონისძიების წარმატება მედიცინას უფრო აქტიური მოქმედებისკენ უბიძგებს.

### 39 წელიწადი უძილოდ

ეს ცნობა ჯაკარტიდან სწრაფად გავრცელდა ინდონეზიის მეზობელ ქვეყნებში: ბალის კუნძულზე ცხოვრობს ადამიანი, რომელსაც უკვე 39 წელიწადია არ უძინია. მისი გვარი და სახელი კეტუტ ვეტანია. 56 წლისაა, ალაზანგკარის რაიონის სოფელ ბუჰელენგში ცხოვრობს. ბავშვობიდანვე გაჭირვებით იძინებდა, 1945 წელს (მაშინ ჩვიდმეტი წლისა იყო) იაპონელი ოკუპანტების უღლისაგან გამანთავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობდა და რამდენჯერმე ღამე გუშაგად დგომა მოუწია. მას შემდეგ მან დღემდე არ იცის რა არის ძილი. ღამე, როცა მთელ ოჯახს სძინავს, კეტუტ ვეტანი წიგნს კითხულობს, გიტარას უკრავს, დილით კი კვლავ სამუშაოდ მიეშურება.



ეროვნული ბიბლიოთეკა





# რამდენი წყალი შეიძლება დავალევინოთ ბავშვს ერთი წლის ასაკამდე

ერთი თვიდან ერთ წლამდე ბავშვმა შეიძლება დალიოს 100—200 გრამი ანადუღარი, ოთახის ტემპერატურის წყალი. მაგრამ თუ ჩვილს არ სწყურია, უხალისოდ სვამს და 100—200 გრამს ვერ ათავებს, ნუ შეგეშინდებათ — ესე იგი, ბავშვის ორგანიზმს საკმაო სითხე აქვს, რომელსაც საკვებთან ერთად იღებს. მხედველობაში იქონიეთ, რომ პაწიები, რომლებიც ძუძუს წოვენ, ანდა ადაპტირებული, ესე იგი დედის რძესთან მაქსიმალურად მიახლოვებული ფაფებით („მალიუტკა", „მალიში", „დეტოლაკტი", „ლინოლაკი") იკვებებიან, ნაკლებად საჭიროებენ სითხის მიმატებას, ხოლო ისინი, ვინც — ნაზავებსა და მაწონს ჭამენ, მეტ სითხეს სვამენ.

ამიტომ იმის გამოსარკვევად, თუ ბავშვს რამდენი სითხე უნდა მივცეთ, უნდა გავითვალისწინოთ სწყურია თუ არა ჩვილს. შესთავაზეთ ბავშვს წყალი, ოღონდ არ დაამალოთ. წყალი ჯერსა და ჯერს შორის დაალევინეთ. ეცადეთ თავიდანვე კოვზით სმას მიაჩვიოთ.

ექვსი თვიდან, ცხელ დღეებში, შეიძლება 500 გრამამდე წყალი დავალევინოთ. სიცხის დროს ბავშვები, ჩვეულებრივ, მადას კარგავენ და ცოტას ჭამენ. მიუხედავად ამისა უნდა ვეცადოთ რამდენიც საჭიროა იმდენი კილოკალორია, უფრო ზუსტად ერთ ლიტრამდე საკვები მივაღებინოთ. თქვენს მიერ მიცემული სითხე კი შეავსებს სიცხის გამო გამოწვეულ სითხის ნაკლოვანებას.

ანადუღარი წყალი შეიძლება ნაწილობრივ ან მთლიანად შევცვალოთ ასკილის ნაყენით, ვაშლის ქერქისა და ახალი ან გამხმარი კენკროვანის ნახარშით.

ოღონდ, გახსოვდეთ ყოველ დღე-- სისტემატურად (500 გრამიც კი) წყლის მიღება მავნებელია. ამას შეიძლება ორგანიზმში სითხის დაგროვება მოჰყვეს. თუ ბავშვი გამუდმებით ბევრ სითხეს თხოულობს და სვამს (ჩვეულებრივ დღეებში 200 გრამზე, ხოლო სიცხეში 500 გრამზე მეტს), ექიმთან ერთად შეამოწმეთ ზომაზე მეტს ხომ არ ჭამს. ზედმეტ წყურვილს ხშირად ჭარბი საკვები იწვევს.

ლ. ბელკინა,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი

მსუქანთა საყურადღებოდ

# ჭამის შემდეგ ჯერსა და ჯერს შუა

ზოგიერთი მსუქანი განუწყვეტლივ წუწუნებს: ღმერთმანი, არაფერსა ვჭამ და მაინც ვსუქდებიო. მართლაც და, ყოველ ჯერზე, საუზმე იქნება ეს, სადილი თუ ვახშამი, ისინი ნორმალური წონის ადამიანებზე მეტს როდი მიირთმევენ, მაგრამ სამწუხაროდ ჯერსა და ჯერს შუა იმდენ რამეს ცუცნავენ, რომ საბოლოო ჯამში საჭმლის რაოდენობა დღეღამის ნორმას ორჯერ და ზოგჯერ მეტჯერაც აღემატება: საქმიანობის პროცესში ხან კამფეტს ჩაიდებენ პირში, ხან ნაყინს მიირთმევენ, ხან ორცხობილას ჩაახრამუნებენ, მოკლედ, ყოველივე იმას, რაც მეტად კალორიული გახლავთ.

ბევრი ტელევიზორის ყურებისას შეექცევა ნუგბარ-ნუგბარ რამეებს: ქიშმიშს, თხილს, ხალვას, ნამცხვარს და ა. შ. სხვათაშორის, გვინდა მათ შევახსენოთ, რომ 100 გრამი თხილი რაციონს 704 კალორიით ზრდის, 100 გრამი ხალვა კი — 516 კალორიით. მგონი ღირს ამაზე დაფიქრება, არა?!

ზოგს ჩვევად აქვს დღეში რამდენჯერმე ჩაის ან ყავის დალევა და ყოველ ფინჯანზე კი რაიმე ტკბილის მიყოლება, შაქარი იქნება ეს, მურაბა, თაფლი თუ კარამელი.

ზოგი მოწყენილობის დროს იწყებს ჭამას. დიდი ხანია წარსულს ჩაბარდნენ გოგოლის გმირები — პულხერია ივანოვნა და აფანასი ივანოვიჩი, რომლებიც ღამეც კი დგებოდნენ მჟავე კიტრის საჭმელად და რაიმე ნუგბარით პირის ჩასატკბარუნებლად. სამწუხაროდ კიდევ არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც მათ გვაგონებენ, და რომელთათვისაც ჭამა ცხოვრების ყველაზე დიდი სიამოვნებაა. სახლში ისინი სულ რაღაცას ღეჭავენ, განუწყვეტლივ აჯახუნებენ მაცივრის კარს.

ჯერსა და ჯერს შორის ჭამას ზოგი ბავშვობიდან ეჩვევა, რაშიც მშობლებს მიუძღვით ბრალი, რადგან ყოველ მათ თხოვნას აკმაყოფილებენ და ხან ბუტერბროდს, ხან ნაყინს, ხანაც ფუნთუშას აჩრიან ხელში. კვების რეჟიმის დარღვევა უარყოფითად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე, რაც აუცილებლად სიმსუქნით მთავრდება. გახსოვდეთ ყოველივე ეს და ნუ მიაყენებთ ზიანს ნურც საკუთარ თავსა და ნურც ბავშვებს.

ტ. იაპო,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროის სხვადასხვა პერიოდში ქვის თვლებისადმი ინტერესი იცვლებოდა, ხან სუსტდებოდა, ხან ძლიერდებოდა, ჩვენს დროში ამ ინტერესის აღორძინება შეიმჩნევა.

უძველესი დროიდან ხალხი თვლებს მაგიურ თვისებებს მიაწერდა. სამხრეთ აღმოსავლეთ აზიაში შექმნილ „ლექსთა წიგნში“ აი რას ამბობდნენ ნეფრიტზე: „მისი ლბილი, მოელვარე ზედაპირი კაცობრიობის სიკეთეს განასახიერებს, მისი სიმყარე — ცოდნისა და გონის სიმბოლოა; მისი მოუჩლუნგავი კუთხეები — სიმბოლოა სამართლიანობისა; წკრიალა, მშვენიერი ხმა, ნეფრიტის თხელი ფირფიტები რომ გამოსცემენ — ენით უთქმელი, ღვთაებრივი მუსიკის გამოძახილია, ბედნიერების გამოხატვაა“.

„ლაპიდარიების“ (თვლების წიგნები) ძველი წიგნები მოგვითხრობდა ქვათა მაგიურ თვისებებზე. მაგალითად, ბრძენნი ირწმუნებოდნენ: ზურმუხტის ქვა გველს რომ დავანახოთ, თვალთაგან წყალი წამოუვა და დაბრმავდებაო.

ძვირფას ქვებს ყოველთვის მიაწერდნენ მაგიურ თვისებებს. გარდა იმისა, რომ ფართოდ გავრცელდა „დაბადების თვეთა ქვები“, ცნობილი იყო აგრეთვე, „კვირის დღეთა ქვები“, „ბავშვთა ბედნიერების ქვები“. ძველაღმოსავლეთში შეადგინეს სიები, თუ რომელ კაცს რომლი სასურველი ქვა უნდა ეტარებინა. მოგვიანებით ეს სიები ევროპაშიც გავრცელდა. მრავალგზისი გადაწერის გამო სიები შეიცვალა, გაჩნდა ნაირნაირი ვარიანტები: გერმანული, ებრაული, რომაული, სლავური და სხვ.

„დაბადების თვეთა ქვებისადმი“ ინტერესი დღესაც შემორჩენილია. სწორედ ამის გამო, ჩვენს დროში, იუველირთა საერთაშორისო ასოციაციამ ისტორიულად მოიძია და დაადგინა ერთი „ყველაზე სწორი სია“, რომლის მიხედვითაც, თითოეულ თვეს შემდეგი თვლები შეესაბამება: იანვარი — ძოწი, თებერვალი — ამეთვისტო, მარტი — აკვამარინი, აპრილი — ალმასი, მაისი — ზურმუხტი, ივნისი — მარგალიტი, ივლისი — ლალი, აგვისტო — ხრიზოლიტი, სექტემბერი — საფირონი, ოქტომბერი — ოპალი, ნოემბერი — ტოპაზი, დეკემბერი — ფირუზი.

## ზოგიერთი სიახლე გრიმის შესახებ

ფონისათვის სახეზე ისვამენ ღია, თითქმის ფაიფურისფერ პუდრას.

ტუჩებს ილებავენ მსუყეწითელი ან ვარდისფერი პომადით. ფანქრით კონტურები აღარ გამოჰყავთ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ტუჩის ფორმის შეცვლა სურთ.



თვალებს აძლევენ ან მომცრო ნუშის ფორმას, ან პირიქით ილებავენ ქვემოდან ზემოთ, წარბებამდე, ირიბად ერთმანეთში გარდამავალი ფერებით („ტენებით“).

თვალებისათვის ძალიან მოდაშია წითელი და ნაცრისფერების შეხამება, რაც განპირობებულია წითელი და ნაცრისფერი ქსოვილების მოდაში შემოსვლითა და კონტრასტული ფერების წითელისა და ღია ლურჯის („ელექტრიკის“) აქცენტის გასმით.

## რჩევები

ვიდრე ცომში ქიშმიშს ჩადებდეთ, ძირში რომ არ ჩავიდეს, წინასწარ ცოტა ფქვილი მოაყარეთ.

* * *

ხორცის ნახარში („ბულიონი“), რომ გამჭვირვალე გამოვიდეს, ჩაუმატეთ ორი-სამი ნატეხი კარგად გარეცხილი კვერცხის ნაჭუჭი, ათი წუთი ადუღეთ და შემდეგ ქაფქირით უკან ამოიღეთ.

* * *

თეთრთავა და ყვავილოვანი კომბოსტოს ხარშვისას სამზარეულოში რომ ცუდი სუნი არ დადგეს, ქვაბში ჩადეთ რამდენიმე კარგად გარეცხილი კაკალი.

* * *

სკამის ფეხებმა რომ პარკეტი ან ლინოლიუმი არ დაჩხაპნოს მიაკარით თექის ან რაიმე სხვა რბილი ქსოვილი.

* * *

ვერცხლეულიდან კვერცხის ლაქები, რომ კარგად ამოვიდეს, სველი მარილით უნდა გაწმინდოთ.

* * *

ყუთში, სადაც საზამთროდ გადარჩეულ კარტოფილს ინახავთ, შიგადაშიგ რამდენიმე სალი ვაშლი ჩადეთ. კარტოფილი ყლორტებს არ ამოიყრის.

* * *

სპილენძის ჭურჭლის გასაწმენდად მოამზადეთ მარილის, ფქვილის და ძმრის ნაზავი, მერე ნაზავი წაუსვით და ერთი საათის შემდეგ გარეცხეთ.

* * *

ვიდრე დაფაზე ხახვის ან ნივრის დაჭრას შეუდგებით, სუნი რომ არ აუვიდეს, დაფას წინასწარ ერთი ნაჭერი ლიმონი გადაუსვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საზეიმო სუფრა

## გოზინაყი

აიღეთ 500 გრ. ნიგოზი (სასურველია, თეთრი და სალი იყოს), ლებნები დანით თხლად და მოგრძოთ დაჭერით, შემდეგ ტაფაზე ოდნავ მოხალეთ, ისე რომ არ დაწითლდეს, გააგრილეთ, სინზე დაყარეთ და დაბერტყეთ, თან სული შეუბერეთ, სანამ კანი სულ არ გაეცლება.

ტარიან, ღრმა, სქელძირიან ტაფაზე მოათავსეთ 250 გრ. თაფლი და ცეცხლზე შედგით. დუღილის დროს თაფლი აქაფდება. რომ არ გადმოვიდეს, რამდენიმე წუთით გადმოდგით, შემდეგ ისევ შედგით. როცა თაფლი დაცხრება და მშვიდად დაიწყებს დუღილს, რამდენიმე წვეთი კოვზით ამოიღეთ და ლამბაქზე დააწვეთეთ. აცალეთ გაციება, თუ წვეთი თითებს შუა ცომივით აგორდა, დროა ნიგოზი ჩაყაროთ. ხის კოვზი სულ ხელში გეჭიროთ და გამუდმებით ურიეთ. დაახლოებით ათი წუთის შემდეგ მოაყარეთ ერთი მუჭა შაქრის „პუდრა", ან დანაყილი შაქარი, კიდევ კარგად აურიეთ და ტაფა ცეცხლიდან გადმოდგით. გოზინაყის მთელი მასა წინასწარ გარეცხილ სველ ფიცარზე ან მომინანქრებულ სინზე გადაიტანეთ და კოვზით კარგად მოასწორეთ — გააბრტყელეთ. გაციებული გოზინაყი, რომ არ დაგემსხვრეთ, თბილი დანით დაჭერით.

## ინდაურის საცივი

არსებობს საცივის დამზადების რამდენიმე წესი. გთავაზობთ ერთ მათგანს, რომელიც უფრო ქალაქ ადგილებშია გავრცელებული.

საშუალო სიდიდის დაკლული მსუქანი ინდაური გავპუტოთ და რაც შეიძლება ფაქიზად გავასუფთაოთ, გავრეცხოთ, მერე მოდიდო ქვაბში ხალვათად მოვათავსოთ, დავასხათ ცივი წყალი და შევდგათ მოსახარშად. როგორც კი წამოდუღებას დაიწყებს, გულდაგულ მოვქაფოთ. გვახსოვდეს, ბულიონი გამჭვირვალე უნდა გამოვიდეს.

სანამ ინდაური იხარშება, წვრილად დავკეპოთ 600 გრამი კარგი ჯიშის (სასურველია „ქართული") ხახვი, მოვათავსოთ ღრმა ტაფაზე. ინდაურის ხარშვის პროცესში ბულიონს მოვხადოთ ცხიმი (ცოტა ბულიონიც რომ შეჰყვეს, არა უშავს), დავასხათ ხახვს და ვშუშოთ დაბალ ცეცხლზე დიდხანს, დარბილებამდე. ვეცადოთ არ შეწითლდეს.

თუ ინდაური ძალიან მსუქანია, მოხარშვამდე მუცლიდან ამოვაცალოთ ქონი, გადავადნოთ და ამ ქონში ვშუშოთ ხახვი. თუ ინდაური მსუქანი არ არის, ხახვი კარაქშიც შეიძლება მოვშუშოთ.

600—700 გრამი ნიგოზი 2-3-ჯერ გავატაროთ ხორცის საკეპ მანქანაში. კარგად დავნაყოთ 2,5 ჩაის კოვზი ხმელი ქინძის თესლი, 5-6 კბილი ნიორი, წითელი პილპილი, მიხაკ-დარიჩინი (გემოვნებით) და ავურიოთ დანაყილ ნიგოზში, დავუმატოთ ორი სუფრის კოვზი პურის ფქვილი, თეთრი ძმარი (სასურველია, ძმარი იმდენი ვუყოთ, რომ ოდნავ კბენდეს), მარილი, მოშუშული ხახვი და გულდაგულ ავურიოთ. როცა ინდაური მოიხარშება, გამზადებულ საკმაზ მასას ნელი რევით დავუმატოთ იმდენი ბულიონი, დაახლოებით, საშუალო სისქის არაჟანივით რომ მივიღოთ; ჩავასხათ ძუის საცერში და კოვზის დახმარებით კარგად გავწუროთ, შევდგათ ნელ ცეცხლზე და რევით წამოვადუღოთ. ორი-სამი წუთის დუღილის შემდეგ შიგ წინდაწინ შებრაწული და დაჭრილი ინდაურის ნაჭრები ჩავაწყოთ და ერთი კიდევ წამოვადუღოთ.

## ხინკალი

გაცერით თეთრი პურის ფქვილი. ჩაახალეთ 1 კვერცხი და ცივი წყლით ოდნავ მაგარი ცომი მოზილეთ. შემდეგ სპეციალური საგორავით ან ბოთლით ცომი მაგიდაზე ან ფიცარზე გააბრტყელეთ, ჩაის თხელი ჭიქით თანატოლ ნაწილებად დაჭერით და კვლავ გააბრტყელეთ.

ხორცსაკეპ მანქანაში გაატარეთ 500 გრ. ძროხის მსუქანი ხორცი. ხორცთან ერთად გაატარეთ 2-3 თავი ხახვი, 7-8 კბილი ნიორი და წიწაკა გემოვნებით. გამზადებულ ფარშს დაუმატეთ პილპილი, კვლიავი— „ძირა" (ხევში გავრცელებული მცენარეა, კამის თესლსა ჰგავს), მარილი გემოვნებით და 1 ჩაის ჭიქა ცივი წყალი. ხორცმა რომ წყალი კარგად შეიწოვოს, მიღებული მასა დაახლოებით 10 წუთს ხელით ზილეთ. წინასწარ გაბრტყელებულ ცომის ნაჭრებზე დადეთ თითო-ორი ჩაის კოვზი სატენი და ორივე ხელით შუა ადგილას თავი მოუკარით, რაც შეიძლება წვრილი ნაოჭებით. ხინკალს, რაც მეტი ნაოჭი აქვს, მით უფრო ფასობს, მაგალითად შეიძლება ჰქონდეს 24, 20, 16, 12 ნაკეცი, მერე ცომი გადაგრიხეთ, ზედმეტი თავი მოაგლიჯეთ და მრგვალი ფორმის ნაოჭიანი თავი თითით ოდნავ გააბრტყელეთ. შემდეგ მარილით შეზავებულ მდუღარე წყალში ჩაუშვით. ხინკალი მაშინვე წყალში ჩაიძირება. ერთმანეთს რომ არ მიეწებოს, ქვაბი ქურიდან აიღეთ და რამდენიმეჯერ შეატრიალეთ. როცა ხინკალი ზევით ამოტივტივდება, უკვე მზად არის, მაგრამ ხორცი რომ კარგად მოიხარშოს, მაინც ადუღეთ კიდევ 3-5 წუთი. გამზადებული ხინკალი ფრთხილად ამოიღეთ ქაფქირით და ფრიალა თეფშზე ან ლანგარზე დაალაგეთ, სუფრაზე ცხელცხელი მიიტანეთ და თან შავი პილპილი მიაყოლეთ.

## კუჭმაჭი

ღორის, საქონლის ან ფრინველის კუჭმაჭი მოვხარშოთ, ცოტა მუცლის ქონიც შევახარშოთ, დავჭრათ წვრილად. წინასწარ დანაყილი ნიორი, ხმელი ქინძი, წიწაკა, ქონდარი, ყვითელი ყვავილი, მარილი (გემოვნებით) კუჭმაჭში კარგად ავურიოთ. შეიძლება დაემატოს ბროწეულის მარცვლებიც. შეკმაზვისას კუჭმაჭი ცხელი უნდა იყოს.

## კუპატი

ღორის კუჭ-ნაწლავი ძალიან კარგად გარეცხეთ ჯერ ცივ წყალში, მერე — თბილში, რეცხვისას მოიშველიეთ სიმინდის ფქვილი. ბოლოს გაავლეთ ძმრიან წყალში. როცა ნაწლავები კარგად გათეთრდება და დაკარგავს სპეციფიურ სუნს, ნაწლავები ერთხელ კიდევ გადმოაბრუნეთ, ისევ გაავლეთ წყალში. გადაარჩიეთ ის ნაწლავი, რომელშიც კუპატი უნდა გაკეთდეს და ცალკე შეინახეთ. სასურველია საკუპატედ დიდი ნაწლავი შეარჩიოთ. დანარჩენი კუჭ-ნაწლავი, გულ-ღვიძლი და ფილტვი მოხარშეთ, გადმოიღეთ დიდ თასზე და წვრილად დაჭერით. შეკმაზეთ წიწაკით, ქონდრით, მარილით და ბროწეულით. საკუპატე ნაწლავი ისე დაჭერით, რომ საშუალო სიდიდის კუპატი გამოვიდეს. გამზადებული კუჭ-ნაწლავის ფარში ჩატენეთ საკუპატე ნაწლავში და თეთრი ძაფით მოუკარით თავი. შეინახეთ გრილ ადგილას. თუ საშუალება გაქვთ, შებოლეთ. სუფრაზე მიტანის წინ კუპატი მთლიანად შეწვით და ცხელი მიირთვით.

კარგ ახალ წელს გისურვებთ, მეგობრებო!

## ქსოვა

# გთავაზობთ სადღესასწაულო მოსასხამს



ავიღოთ 400 გრამი წვრილი ძაფი (200-200 გრ. სხვადასხვა ფერის), №2 ჩხირები, ავკრიფოთ 60 თვალი და მოვქსოვოთ 40 რიგი წინდისებური ქსოვით. ერთ მხარეს მოვუმატოთ 15 თვალი ძაფის ფერის შეცვლით და კვლავ 40 რიგი მოვქსოვოთ. განვაგრძოთ ამავე წესით ქსოვა, მივიღებთ კიბისებრ ნაქსოვს. ყველაზე განიერი საფეხურის მოქსოვის შემდეგ (სიგანე თქვენზეა დამოკიდებული, (სურათზე ეს მონაკვეთი 180 თვალია), იწყებთ 15 თვლის ერთდროულად მოკლებას. ყოველი 40 რიგის შემდეგ, მოუკლებთ 15 თვალს და დაამთავრებთ 60 თვალით.

შარფი შეგიძლიათ გააწყოთ ფოჩებით (იხ. გაკვ. II).

სურათზე: შარფი დამუშავებული ყაისნაღით, შავი რიგები გაწყობილია მარტივი ნაქარგით.

**ლამარა ვეკუა**

# ჟურნალ „საქართველოს ქალის“ 1984 წლის ნომრების შინაარსი


**№ 1**

ნ. ქადაგიძე — იდეალური დიასახლისი — იუმორი

გ. ბარათაშვილი, მ. ვალაშვილი, ნ. გაბრიჩიძე, ა. გელოვანი — ლექსები

**ნარკვევები და წერილები**

ლ. ცხვარაძე — „ლამაზად შვილის გამზრდელი დედა მიცვნია გმირადა“. ლაპარაკობენ ახალგაზრდა დედები

ლ. სანიკიძე — არანაკლებ ხუთი შვილისა!

გ. ქუთათელ[illegible] — საწყისი მარადიული განახლებისა

თ. თათარაშვილი — ვოგიძეები

მ. ცოტაძე — „არ გავცვლი სალხა კლდეებსა“

შ. შენგელი — ხუთასი გადარჩენილი სიცოცხლე

ლ. კაკაბაძე — რამდენიმე კითხვა თბილისური ავეჯის თაობაზე

ო. რევია — მისი ყოველი დღე

ფ. კოჟიაშვილი — ლამაზი ქალი

ე. გერი, ლ. სიმონიშვილი — მაწონ[illegible] მისი გამოყენება ჩვილ ბავშვთა კვებაში

ლ. ვეკუა — ქსოვის გაკვეთილი

**№ 2**

ო. დემეტრაშვილი — ელისო — [illegible]

ნ. ყალაბეგაშვილი — ლექსები

## ნარკვევები და წერილები


შ. მარკოზაშვილი — სოფლის დეპუტატი
ი. კუკავა — სართიჭალელი ქალები
ვ. თოფურია — პრინციპული ხასიათი
შ. ამონაშვილი — „გონიერსა მწვრთნელი უყვარს“
ც. ყიფიანი — ფერადი მინა
თ. ჭონქაძე — ღირსეული დაფასება
დ. მდივნიშვილი — როცა ოცნება ახდება
ბ. რუხაია — ერთი ბოთლი რძე
დ. ზურაბაშვილი — საპატიო ჯილდო
გ. ბახტაძე — ეკ. გაბაშვილის საღამო ხონში
ი. ჩოფიკაშვილი — ოჯახი, დედა...
თ. ჟვანია — სად ხარ მაიკო დეიდა?
ი. ზაქარიაშვილი — ვარძია
ზ. გრიგოლაშვილი — „არასასურველი სტუმრები“


### № 3


ი. ქავჟარაძე — გაპარვა — მოთხრობა
გ. შალვაშვილი, რ. მკერვალიშვილი, მ. მაისურაძე — ლექსები


## ნარკვევები და წერილები


თ. ჭურაძე — იმრავლოს ტრადიციამ
ნ. ფაილოძე — მუხა კვლავ შრიალებს
გ. ხარებაშვილი — საქმე კარგად აეწყო
დ. ტყებუჩავა — „დიაცი ქსლისა მბეჭველი“
მ. იზორია — ელენე როტკევიჩი
შ. ამონაშვილი — „გონიერსა მწვრთნელი უყვარს“
თ. ზარბინავა — ღია წერილი მეგობარს
დ. კატუკია — სიყვარული სიყვარულის წილ
თ. სირია — ქართველი ქალები დიდ სამამულო ომში
ი. პაშარული — დედა
დ. სპარსიაშვილი — „თავს სინანული სჯობია“
ლ. ვეკუა — ქსოვის გაკვეთილი


### № 4-5


ე. ზარიძე — ნიკალას სარძლო — მოთხრობა
ა. კალანდაძე, მ. ხეთაგური, მ. მრევლიშვილი, ნ. კილასონია.
მ. კახიძე, დ. გედიანიძე — ლექსები


## ნარკვევები და წერილები


მ. გარათაშვილი — საქართველოს ქალთა ჟურნალი 60 წლისაა
ნ. ცაგარეიშვილი — ინტერვიუ საქართველოს ხელმძღვანელ პარტიულ მუშაკ ქალებთან
ლ. გიწაძე — ლურჯი ყვირილის ნაპირებზე
ე. სეხნიაშვილი — ქართული მეცნიერების ჰორიზონტებზე
შ. ამონაშვილი — ყველას მეცნიერება
ლ. კაკაბაძე — საქარხნო რაიონში
მ. ბაქრაძე — ნდობით, ცოდნითა და ერთგულებით
ვ. გოგოლაშვილი — ეს საოცარი „კოლხეთი“ და „დიოსკურია“
დ. ტყებუჩავა — აბაშის ექსპერიმენტი
მ. შაოშვილი — გვჯერა, ყოველთვის გამარჯვებულს შეგხვდებით!
ბ. გამრეკელი — მამაცია იაფეტის მოდგმა
ნ. ღვინეფაძე — მცირე თეატრალური აფიშა
ე. ჯაფარიძე — ასე იქმნება ჟურნალი „საქართველოს ქალი“
ბ. გაბნიძე — ქართველი კინოხელოვანი ქალები
ჩ. მამისეიშვილი — მილიონთა ყოველდღიური პრობლემები
ი. ზაქარიაშვილი — ზრუნვა წინაპართა ნაკვალევს!
ზ. მერკვილაძე — სერვისი — სავიზიტო ბარათი.




ეროვნული ბიბლიოთეკა

### № 6


ხ. ბერულავა, ლ. სტვილია, ზ. გალახაძე, ლ. გოგებაშვილი,
მ. გაგუა — ლექსები


## ნარკვევები და წერილები


ლ. კაკაბაძე — მტრედები
ჯ. გაგუნია — ამღერებული ოჯახი
ე. სახვაძე — ცვლილება
ვ. ასლამაზიშვილი — კეთილი კვალი
ნ. გიორგაძე — მისი საზრუნავი
ი. ნადირაძე — და ჟღერდა წკრიალა ხმა
ე. მიქაშავიძე — ჰიმნი მშვიდობას
ი. ჭინჭარაული — მთები
ნ. ბუკია — სხვისი შვილები
ც. თაბუკაშვილი — ლილი იაშვილი
შ. ამონაშვილი — წერილის გმირია „აყვანილი შვილი“
ლ. ვეკუა — ქსოვის გაკვეთილი
ა. ანიჩკინი — იაპონელი მშრომელი ქალის ხვედრი (კაპიტალის სამყაროში)


### № 7


ლ. ყვარელაშვილი — ბებერი ჰერამი — მოთხრობა
კ. მარგიევი — ლექსი


## ნარკვევები და წერილები


ა. დოხნაძე — მწვანე მთები
ლ. კაკაბაძე — ამაღლება
ვ. ჩეკურიშვილი — ნორჩებზე ზრუნვით
გ. გამრეკელი — მოვიცადოთ სექტემბრამდე
ვ. ძიგუა — ჭეშმარიტი არტისტიზმით
მ. ცოტაძე — მეორედ დაბადება
მ. ზურაბიშვილი — 50 წელი პარტიის რიგებში
თ. გომართელი — სახალხო თეატრის მოამაგე
თ. ძიძიგური — პირველიდან პირველამდე
თ. ფაღავა — როგორ ვიშვილოთ ბავშვი?
ზ. გოცაძე — კახოს თინა
ს. სოლოვიოვი — „მშვიდობის ბანაკი“ პაინ-გეპთან ახლოს


### № 8


ნ. ყალაბეგაშვილი, ჯ. მილდიანი, ლ. არჩვაძე — ლექსები


## ნარკვევები და წერილები


ლ. ბრძელიძე — გმირთა სავანეში
ძ. გორგილაძე — მზით გაცვითეთ
შ. ამონაშვილი — ყველაზე დიდი ღირსება
მ. ლეჟავა — დედის დღე
თ. ჭონქაძე — პოლიგრაფისტთა ოჯახი
ა. ბიბიჩაძე — წლების გადმოსახედიდან
ვ. ქურდიანი — სილამაზის, ჯანმრთელობის, სინატიფის მომნიჭებელი
დ. მდივნიშვილი — სიმღერის სიყვარულით
თ. მირზაანელი — ძველი ამბავი
ი. ჩოფიკაშვილი — დედის წერილი
ც. სიდამონიძე — გამონათება XVII საუკუნიდან
ლ. ვეკუა — ქსოვა
ე. საყვარელიძე — ნინო ალექსი—მესხიშვილი
ი. ზაქარიაშვილი — შატილი

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ


მ. ᲙᲐᲙᲐᲣᲠᲘᲫᲔ — ზოგი რამ ტყუპების ორთოპედიულ დაავადებათა შესახებ

№ 9

ლ. ᲛᲐᲠᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ — გული, სიხარული და ცრემლები — მოთხრობა
ნ. ᲯᲐᲚᲐᲦᲝᲜᲘᲐ, ლ. ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ლექსები

**ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ**

გ. ᲛᲔᲤᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ხალხის ბედნიერებისათვის
ი. ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐ და დ. ᲩᲐᲙᲐᲑᲔᲠᲘᲐ — ოქუმელები
დ. ᲥᲐᲗᲐᲛᲐᲫᲔ — ექვსი ქალი და ერთი მამაკაცი
ზ. ᲛᲔᲡᲔᲜᲒᲘᲡᲔᲠᲘ — შრომის დღეების სიკეთე
ლ. ᲐᲚᲘᲛᲑᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ — მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებაა
თ. ᲛᲘᲠᲖᲐᲐᲜᲔᲚᲘ — კურორტი „ოქტომბერი“
ვ. ᲚᲐᲑᲐᲖᲘᲫᲔ — ფრონტის წინა ხაზზე
ნ. ᲤᲐᲘᲚᲝᲫᲔ — 34 წელი პიონერებთან
ე. ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘ — ცეკვავს ნინო ანანიაშვილი
გ. ᲡᲢᲣᲠᲣᲐ — ადამიანური ღირსება
ა. ᲙᲐᲪᲐᲫᲔ — ქალი და მიგრაცია
ს. ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ცისფერი „ავაზა“
ნ. ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ — დედაა!
ე. ᲙᲘᲣᲠᲘ — სხივოსანი (მ. კოდუას თარგმანი).

№ 10

ლ. ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲔ — ლექსები

**ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ**

ლ. ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ — ცის გახსნა
ე. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ — ბიბილაძეების დინასტია
გ. ᲒᲝᲩᲘᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ — შვილები და შვილობილები
მ. ᲮᲐᲕᲗᲐᲡᲘ, თ. ᲮᲐᲠᲐᲘᲨᲕᲘᲚᲘ — თამარ მასწავლებელი
ე. ᲑᲐᲨᲐᲚᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ — „ის მიდიოდა ქუჩაში ერთი“
შ. ᲐᲛᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ — თურმე ენა ყველასა აქვს
ი. ᲙᲣᲙᲐᲕᲐ — ყურადღება, გადაღებას ვიწყებთ!
მ. ᲗᲝᲛᲐᲫᲔ — წიგნის დედა
ლ. ᲐᲠᲩᲔᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ — პროფტექნიკურის დიპლომით
მ. ᲙᲘᲙᲐᲑᲘᲫᲔ — სამშობლოსათვის თავდადებული
ნ. ᲚᲔᲟᲐᲕᲐ — მკვეთრად შევამციროთ წითელათი ავადობა
თ. ᲒᲝᲛᲐᲠᲗᲔᲚᲘ — მსახიობი მუშათა აუდიტორიიდან

„საპატარძლოებით“ ვაჭრობა. (კაპიტალის სამყაროში)

№ 11

თ. ᲛᲝᲠᲩᲘᲐᲣᲚᲘ, მ. ᲗᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ვ. ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲐ, თ. ᲨᲘᲛᲨᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, რ. ᲐᲡᲐᲔᲕᲘ, ნ. ᲐᲠᲡᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ლექსები

**ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ**

რ. ᲭᲔᲚᲘᲫᲔ — კვების ინდუსტრიის სიახლეები.
მ. ᲙᲘᲙᲐᲑᲘᲫᲔ — ქართველი სტახანოველი
ნ. ᲔᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ — გაქცევა ტყვეობიდან
ე. ᲥᲣᲗᲐᲗᲔᲚᲐᲫᲔ — ხვალინდელ დღეზე ფიქრით
ვ. ᲘᲗᲝᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ოსთა კულტურისა და ყოფის გამოჩენილი მკვლევარი
შ. ᲐᲛᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ — დროის განმგებელი
მ. ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ღვაწლმოსილი
ნ. ᲔᲓᲘᲨᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ — კასპის ბაღებში
ზ. ᲑᲝᲪᲕᲐᲫᲔ — ერის სიყვარულით ანთებული გულები
ა. ᲛᲐᲥᲡᲘ — მის ფერჩის ერთგულება (გ. ჯაბაშვილის თარგმანი).

№ 12

ი. ᲢᲐᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ — საკუთარი დღე (მოთხრობა)
ლ. ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘ — ლექსები

**ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲔᲑᲘ, ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ**

თ. ᲥᲐᲕᲗᲐᲠᲐᲫᲔ — დმანისის რაიონი დღეს
ი. ᲙᲣᲙᲐᲕᲐ — საამქროში მხოლოდ ქალები არიან
თ. ᲛᲘᲠᲖᲐᲐᲜᲔᲚᲘ — რკინიგზელები
გ. ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ — მატჩი, რომელმაც ყველა აადელვა
შ. ᲐᲛᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ძალთა სათავე
გ. ᲗᲣᲨᲘᲨᲕᲘᲚᲘ — მანანა მენაბდე
ნ. ᲩᲘᲙᲕᲘᲚᲐᲫᲔ — პუშკინის სახელმწიფო მუზეუმში
ე. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ — მოგონებები დარჩა
ა. ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ — დედის ბარათები
ვ. ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ქარვა
ლ. ᲕᲔᲙᲣᲐ — ქსოვის გაკვეთილი
ლ. ᲑᲔᲚᲙᲘᲜᲐ — რამდენი წყალი შეიძლება დავალევინოთ ბავშვს ერთი წლის ასაკამდე.


ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲨᲘᲐ: კულინარული რეცეპტები, ფერად-ფერადი, მოდა, იუმორი.

ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ — ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲐᲛᲒᲖᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ ᲛᲐᲘᲐ ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ. ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲖᲔ — ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲞᲔᲘᲖᲐᲟᲘ.
Დ. ᲘᲐᲙᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲔᲠᲐᲓᲘ ᲡᲚᲐᲘᲓᲔᲑᲘ.


მთავარი რედაქტორი ᲛᲐᲠᲘᲙᲐ ᲑᲐᲠᲐᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: გ. ᲑᲐᲜᲫᲔᲚᲐᲫᲔ, ნ. ᲑᲐᲤᲠᲘᲜᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ნ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ ლ. ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ, ზ. ᲙᲕᲐᲭᲐᲫᲔ, ნ. ᲙᲘᲚᲐᲡᲝᲜᲘᲐ, თ. ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ქ. ᲚᲝᲛᲗᲐᲗᲘᲫᲔ, ნ. ᲟᲕᲐᲜᲘᲐ, პ. ᲟᲚᲔᲜᲢᲘ, ც. ᲢᲔᲠᲔᲚᲐᲫᲔ (მხატ. რედაქტორი), ნ. ᲨᲐᲚᲣᲢᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ლ. ᲨᲔᲬᲘᲠᲣᲚᲘ, ნ. ᲪᲐᲒᲐᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ, ნ. ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ. ე. ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ (პ. მგ. მდივანი).

ტექრედაქტორი ნ. ᲑᲣᲙᲘᲐ

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096 Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096. Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 6. 11. 84 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17. 12. 84 წ. ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5.8.
Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ტირაჟი 140.000 შეკვ. 2534. უე 06647.

თ. ჭეჭელაშვილის ფოტო



არაგვის ხეობა



ფასი 20 კაპ.

ინდექსი 76178